

ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის



თარგმანი: ერეკლე ჩიგოგიძე

პროექტის მხარდამჭერები: - გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში
- მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი



შინაარსი

ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის - მოკლე შესავალი	3
ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის	7
კვალიფიკაცია/გამოცდილება	7
საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები	9
გამჭოლი კომპეტენციები	11
პროფესიონალიზაცია	13
გლოსარიუმი	15
ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის - სახელმძღვანელო	18
სახელმძღვანელოს მიზნები	19
ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის - მიზნები	19
პრინციპები და მოსაზრებები, რომლებსაც ეფუძნება ეპზ	20
ეპზ-ს სტრუქტურა	22
პროფილთა ბადის გამოყენების სფეროები	24
პროფილთა ბადის ძირითადი სამიზნე ჯგუფები	26
მოხმარების ინსტრუქციები უცხოური ენების მასწავლებლებისათვის	27
მოხმარების ინსტრუქციები მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის	29
მოხმარების ინსტრუქციები ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირებისათვის	31
დანართი	35
ხშირად დასმული კითხვები	35
ცარიელი ბადე თვითშეფასებისთვის/კოლეგათა შეფასებისთვის	38
პროფილის ნიმუშები	39
პროფილთა ბადის ინტერაქტიული ვერსიის, ეპზ-დიჯიტალის გამოყენება	42
მადლობისთქმა	50

მოცემული პროექტი განხორციელდა ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით. ეს პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორის შეხედულებებს და კომისია არ აგებს პასუხს მასში მოცემული ინფორმაციის რაიმე სახით შემდგომ გამოყენებაზე.



ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის - მოკლე შესავალი

რა არის ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის?

ევროპული პროფილთა ბადე (ეპბ) წარმოადგენს უცხოური ენების მასწავლებელთა ძირითადი კომპეტენციების აღმწერ ინსტრუმენტს, რომელიც ცხრილის ფორმატში ასახავს პროფესიული განვითარების ექვს ფაზას. ეპბ ხელმისაწვდომია თერთმეტ სხვადასხვა ენაზე.

ეპბ-ს მიზანია უცხოური ენების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა განურჩევლად სამიზნე ენისა, რომელსაც ისინი ასწავლიან. გარდა ამისა, ეპბ არის ინსტრუმენტი ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირებისა და კოორდინატორებისთვის, რომლებიც ენის სწავლების ხარისხის განვითარებაზე აგებენ პასუხს, ასევე მასწავლებელთა განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის¹.

როგორც უკვე დასახელებიდანაც ჩანს, პროფილთა ბადე ცხრილის ფორმატით აგებული დოკუმენტია. ერთ ღერძზე განლაგებულია პედაგოგიური კომპეტენციები და კვალიფიკაციები. მეორე ღერძზე კი ასახულია პროფესიული განვითარების ექვსი ფაზა - დამწყები მასწავლებლიდან გამოცდილ პედაგოგამდე/ტრენერამდე. ბადის თითოეული უჯრა შეიცავს შესაბამისი კატეგორიისა და პროფესიული განვითარების ფაზისთვის რელევანტურ დესკრიპტორებს. უმეტეს შემთხვევაში ოპერირება ხდება საკვანძო სიტყვით „შეუძლია“.

პროფესიული განვითარების რომელი ხედვა უდევს ეპბ-ს საფუძვლად?

ეპბ არის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის შედეგი, რომელიც 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ოქტომბრამდე ექვსი ევროპული ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა თანამშრომლობით ხორციელდებოდა. პროექტში ჩართული პარტნიორი ინსტიტუტები და მათი წარმომადგენლები ჩამოთვლილი არიან სამადლობელ ნაწილში (გვერდი 50).

პროექტში ჩართული პირების აზრით, პედაგოგთა მომზადება და პროფესიული განვითარება არის ქვემოდან ზემოთ, მარტივიდან რთულისკენ, კონკრეტულიდან ზოგადისკენ მიმართული პროცესი (bottom-up): მასწავლებლები საკუთარ კომპეტენციებს ავითარებენ მიღებული განათლების ფარგლებში, პროფესიულ ასპარეზზე მიღებული

¹ აქ და შემდგომ: მასწავლებელთა განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებში იგულისხმება ყველა ის სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ ჩართული პრე- და ინსერვისის უზრუნველყოფის პროცესში: პედაგოგიური პრაქტიკისა და ახალბედა მასწავლებლების კურატორები, ტუტორები, მენტორები, ტრენერები და ა.შ. (მთარგმნელის შენიშვნა)

პირადი გამოცდილების საფუძველზე, მათი პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე (შდრ. Mann 2005²). არსებული პირობებიდან გამომდინარე, მასწავლებელთა განათლების სტიმულირება შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით: ენის ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვორკშოპებში მონაწილეობით, შესაბამისი ლიტერატურის გაცნობით, კოლეგების მიერ ჩატარებულ მეცადინეობებზე დასწრება/დაკვირვებით, ახალი ტიპის სასწავლო კურსის მომზადებით, კურატორთან, მენტორთან ან ტრენერთან ჩატარებული გაკვეთილის შესახებ გასაუბრებითა და შესაბამისი უკუკავშირის მიღებით, კოლეგებთან მეთოდური და/ან სასწავლო მასალების შესახებ აზრთა გაზიარებით და ა. შ.

ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირები პასუხს აგებენ პედაგოგიური შტატის თითოეული წარმომადგენლისა და მასწავლებელთა მთლიანი კორპუსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ეს ყოველივე უნდა განხორციელდეს კონსულტაციებისა და ქმედითი ინიციატივების საფუძველზე. ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელმა პირებმა, როგორც უშუალოდ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, მხედველობაში უნდა იქონიონ როგორც ინსტიტუტის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების ხარისხის უზრუნველყოფის, ისე ინსტიტუტის მიერ დასახული მიზნების მიღწევის აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოიაზრება სოლიდარული პასუხისმგებლობის ობიექტად, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ბენეფიციარებზე, მასწავლებლებსა და დამსაქმებლებზე.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელოვან და ქმედით კომპონენტს წარმოადგენს საკუთარი პროფესიული გამოცდილებების, პირველ რიგში კი ყოველდღიური მეცადინეობების (თუმცა არა მხოლოდ მათი) გააზრება და ანალიზი. ენის გაკვეთილის სპეციფიკური მახასიათებლების ფარგლებში საკუთარი კომპეტენციების შეფასება არის ამოცანა, რომელიც თვითრეფლექსიას მოითხოვს, ამგვარმა რეფლექსიამ კი პიროვნული პროფესიული განვითარების მიზნების იდენტიფიცირებამდე უნდა მიგვიყვანოს. პროფილთა ბადე, რომელშიც საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციების აღწერილობები მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფაზის მიხედვითაა გაწერილი, ამგვარი თვითშეფასების გაცილებით უფრო მარტივი და სისტემური რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ამას გარდა, ეკბ ხელს უწყობს მასწავლებლებსა და ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელებს თუ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს შორის დისკუსიას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სურვილებისა და საჭიროებების შესახებ. მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ ეკბ-ს ერთგარ დამხმარე საშუალებად გამოყენება, რომლითაც მოხდება პედაგოგიური კორპუსის თითოეული წევრის კომპეტენციების შეფასება. დესკრიპტორების ფორმატში გაწერილი კრიტერიუმები როგორც თვითშეფასების, ისე კოლეგების შეფასების დროს სუბიექტურობისა და ცალმხრივობის ხარისხს მინიმუმამდე ამცირებს.

² Mann, S. (2005): 'The language teacher's development' in *Language Teaching* vol. 38.2
http://www2.warwick.ac.uk/fac/soc/al/staff/teaching/mann/mann_s/stateof.pdf

რის ფონზე მიმდინარეობდა ეკბ-ს პროექტი?

„ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის“ პროექტის მიზნები მდგომარეობდა შემდეგში:

- 2006 წელს ენის ცენტრების მიერ შიდა მოხმარებისთვის EAQUALS-ის³ სააკრედიტაციო კრიტერიუმების შესაბამისად შემუშავებული პროფილთა ბადის ვალიდაცია და შემდგომი დახვეწა;
- პროფილთა ბადის საბოლოო ვერსიის შექმნა ექვს ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, ბულგარული, ნიდერლანდური, თურქული და პოლონური), ხოლო ბადის ელექტრონული ვერსიის - ოთხ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური).
- მოხმარების ინსტრუქციის შემუშავება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მხარდაჭერა, თითოეული მათგანისთვის რელევანტური პედაგოგიური კონტექსტის გათვალისწინებით.

იმავ პერიოდში, როდესაც ბრაიან ნორთი და გალია მატაევა EAQUALS-ის პროფილთა ბადის შედგენაზე მუშობდნენ, შემუშავდა პედაგოგიური კომპეტენციების ორი დამატებითი დესკრიპტორი (ნოიბი სხვათა თანაავტორობით 2006 წელს და კელი და გრენფელი 2005 წელს⁴). თუმცა ორივე დოკუმენტი - პირველი: ევროპის ქვეყნებში მასწავლებელთა განათლების პროფილთა ბადე, მეორე: მომავალი მასწავლებლის პორტფოლიო - შეიქმნა არა გამოცდილი მასწავლებლებისათვის, არამედ პედაგოგიური ფაკულტეტების სტუდენტებისთვის. ამას გარდა, EAQUALS-ის პროფილთა ბადე მოიაზრებოდა როგორც ინსტრუმენტი, პრაქტიკოსი, თუმცა არათანაბარი პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლების კომპეტენციების შესაფასებლად. იგივე დანიშნულება ჰქონდა ოდნავ მოგვიანებით შემუშავებულ ეკბ-ს. ამას ემატება ისიც, რომ ეკბ რამდენიმე უცხო ენაზეა ხელმისაწვდომი, რაც მისი გამოყენების შესაძლებლობას ფაქტობრივად ყველა უცხო ენის მასწავლებელს აძლევს.

როგორ მოხდა ევროპული პროფილთა ბადის და მისი დესკრიპტორების ვალიდაცია?

ეკბ-ს პროექტის ერთ-ერთი ნაწილის აპრობაცია განხორციელდა პროფილთა ბადის ხუთ სხვადასხვა ენაზე. ვალიდაციის პროცესში ჩართული იყო ევროპის 20 ქვეყანა, 2000-ზე მეტი ინსტიტუტი, 60-ზე მეტი ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირი და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი 100 სპეციალისტი.

³ EAQUALS - „Evaluation & Accreditation of Quality in Language Services“ – „ენობრივი სერვისის ხარისხის შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტი“ (მთარგმნელის შენიშვნა)

⁴ Newby, D., Allan, R., Fenner, A., Jones, B., Komorowska, H. and Soghikyan, K (2006): *The European Portfolio for Student Teachers of Languages, EPOSTL* http://archive.ecml.at/mtp2/fte/pdf/C3_Epostl_E.pdf
Kelly M, M. Grenfell, R. Allan, C. Kriza and W McEvoy (2004): *European Profile for Language Teacher Education – A Frame of Reference* http://ec.europa.eu/education/policies/lang/doc/profilebroch_en.pdf

ფაქტობრივად, ყოველი მათგანი განსხვავებულ პედაგოგიურ და სასწავლო კონტექსტს წარმოადგენდა.

ყველაფერთან ერთად, მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მომხდარიყო მასწავლებლების შესაძლებლობებზე ორიენტირებული დესკრიპტორების გადამოწმება და კომპეტენციების ზუსტი ფორმულირება ხუთივე ენაზე, ასევე პროფილთა ბადის საბოლოო ვერსიაში შესატანი ცვლილებების იდენტიფიცირება. ხსენებული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.epg-project.eu>; იქვე შეგიძლიათ იხილოთ მოხმარების ინსტრუქცია. ეპბ-ს ინტერაქტიული ელ-ვერსია შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: <http://egrid.epg-project.eu/en>.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეპბ არ შეიცავს რაიმე სახის სტანდარტებს ან ინსტრუქციებს, რომლებიც ვინმემ მასწავლებლებს შეიძლება დაუდგინოს. პროექტში ჩართული პარტნიორი მხარეები ღრმად არიან დარწმუნებულები, რომ დაუშვებელია ეპბ-ს ინსტრუმენტალიზაცია პედაგოგიური კადრების სამართავად. მის მიზანს არ წარმოადგენს მასწავლებლებისთვის დირექტივების გაწერა, განხორციელებული საგაკვეთილო პროცესის ერთგვაროვანი ხასიათის მიღწევა ან მასწავლებელთა დასჯა-წახალისება. ეპბ-ს მიზანია მასწავლებელთა ინფორმირება, მათთვის შეთავაზებების გაკეთება, შეხედულებების გაზიარება, ინდივიდუალური ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების ხელშეწყობა და თითოეული მასწავლებლის პიროვნული განვითარების სტიმულირება.

	I ფაზა		II ფაზა		III ფაზა	
	1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია	- სამიზნე ენას სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მიაღწია სამიზნე ენის ცოდნის B1 დონეს	- სამიზნე ენას სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - მიაღწია სამიზნე ენის ცოდნის B2 დონეს	ჩაბარებული აქვს სამიზნე ენის B2 დონის გამოცდა და მიაღწია C1 დონეს ზეპირმეტყველების კომპონენტში	- ჩაბარებული აქვს სამიზნე ენის C1 დონის გამოცდა ან: - უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სამიზნე ენაზე და აქვს ენის C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ოფიციალური სერტიფიკატი	- ჩაბარებული აქვს სამიზნე ენის C2 დონის გამოცდა ან: - უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სამიზნე ენაზე და აქვს ენის C2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ოფიციალური სერტიფიკატი	- უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სამიზნე ენაზე, აქვს ენის C2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ოფიციალური სერტიფიკატი და სამიზნე ენას ავთენტურად იყენებს ან: - სამიზნე ენა მისთვის მშობლიური ენაა
განათლება / კვალიფიკაცია	სწავლობს პედაგოგიური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის ან ავტორიზებული კერძო ინსტიტუტის აკრედიტირებულ პროგრამაზე, რომელსაც გაყავს ენის მასწავლებლის სპეციალობაზე	დასრულებული აქვს ენის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, რომელიც ენობრივ ცნობიერებას და მეთოდიკა-დიდაქტიკას ეხება და შეუძლია სწავლება, თუმცა ჯერ-ჯერობით არ გააჩნია ფორმალური კვალიფიკაცია	- დასრულებული აქვს მინიმუმ, 60-საათიანი დოკუმენტირებული და სტრუქტურირებული, პრაქტიკული განათლება სამიზნე ენის სწავლების მიმართულებით, რომელიც ამავედროულად მოიცავს პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტს; შედეგად, ფლობს საბაზისო კვალიფიკაციას ან: - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დროს დასრულებული აქვს რამდენიმე კურსი ან მოდული სამიზნე ენაში და/ან მეთოდიკა-დიდაქტიკაში, თუმცა ჯერ სრულად არ აქვს დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამა.	- აქვს უმაღლესი განათლება სამიზნე ენის მიმართულებით, ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მეთოდიკა-დიდაქტიკის კომპონენტს და პედაგოგიურ პრაქტიკას ან: - აქვს აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ, 120 საათი) სამიზნე ენის სწავლების მიმართულებით.	- აქვს ბაკალავრის ხარისხი სპეციალობით "უცხოური ენის მასწავლებელი"; ან სწავლის დროს გავლილი აქვს აქტივობები უცხო ენის სწავლების მეთოდიკა-დიდაქტიკის მიმართულებით: პედაგოგიური პრაქტიკა წარმოადგენდა ამ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს. ან: - აქვს აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ 120 საათი) სამიზნე ენის სწავლების მიმართულებით. ამას გარდა: - გავლილი აქვს მინიმუმ 100 საათიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი	- აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი უცხოური ენების სწავლების შესაბამისი სპეციალიზაციით ან გამოყენებითი ენათმეცნიერების სპეციალიზაციით; ან სწავლის დროს გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობები პედაგოგიური პრაქტიკის ჩათვლით, თუკი ეს უკანასკნელი საბაკალავრო დონეზე უკვე არ იყო გავლილი ან: - აქვს პოსტადიპლომო ან აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატი სამიზნე ენის სწავლების მიმართულებით (მინიმუმ, 200 საათი) - აქვს დამატებითი განათლება (მაგ. დარგობრივი ენის სწავლება, გამომცდელთა ტრენინგი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კურსები)
შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა	აგროვებს გამოცდილებას საკლასო მეცადინეობების კონკრეტული მონაკვეთების დამოუკიდებლად ჩატარების და გამოცდილ კოლეგასთან უკუკავშირის ანალიზის გზით.	- უკვე დამოუკიდებლად აქვს ჩატარებული რამდენიმე გაკვეთილი, რომელზეც განხორციელდა დაკვირვება/მონიტორინგი და შეფასება. - აქვს მცირე ჯგუფებში მეცადინეობის ცალკეული ფაზების ჩატარების გამოცდილება (მიკროსწავლება)	- სწავლის პროცესში ჩატარებული აქვს მინიმუმ, 2 წარმატებული გაკვეთილი მინიმუმ, 2 სხვადასხვა ენობრივ დონეზე და შეუძლია ამის დოკუმენტურად დადასტურება - როგორც პედაგოგს, ჩატარებული აქვს მინიმუმ, 3 გაკვეთილი მონიტორის თანდასწრებით, რომლებზეც დოკუმენტურად დაუფიქსირდა დადებითი შეფასება	- სწავლის პროცესში ჩატარებული აქვს მინიმუმ, 6 წარმატებული გაკვეთილი მინიმუმ, 2 სხვადასხვა ენობრივ დონეზე და შეუძლია ამის დოკუმენტურად დადასტურება - როგორც პედაგოგს ჩატარებული აქვს მინიმუმ, 6 გაკვეთილი 3 სხვადასხვა ენობრივ დონეზე კურატორის / მენტორის / გამოცდილი კოლეგის თანდასწრებით და ექვსივე შემთხვევაში დოკუმენტურად დაუფიქსირდა დადებითი შეფასება	პედაგოგიური პრაქტიკის განმაჯავღებაში სხვადასხვა ენობრივ დონეზე და სხვადასხვა სასწავლო ჯგუფებთან ჩატარებული აქვს მინიმუმ 10 მეცადინეობა კურატორის / მენტორის / გამოცდილი კოლეგის თანდასწრებით და ყველა შემთხვევაში დოკუმენტურად დაუფიქსირდა დადებითი შეფასება	- პედაგოგიური პრაქტიკის განმაჯავღებაში ჩატარებული აქვს მინიმუმ, 14 მეცადინეობა კურატორის / მენტორის / გამოცდილი კოლეგის თანდასწრებით და ყველა შემთხვევაში დოკუმენტურად დაუფიქსირდა დადებითი შეფასება - შეფასდა როგორც ნაკლებად გამოცდილი კოლეგების კურატორი / მენტორი

პედაგოგიური გამოცდილება	• 1 ან 2 ენობრივ დონეზე ჩატარებული აქვს რამდენიმე მეცადინეობა ან მეცადინეობის ნაწილი	• ასწავლის რამდენიმე კლასს ან ჯგუფს, თუმცა აქვს მხოლოდ 1 ან 2 ენობრივ დონეზე სწავლების გამოცდილება	• შეუძლია დოკუმენტურად დაადასტუროს 200-დან 800-მდე დამოუკიდებლად ჩატარებული საგაკვეთილო საათის გამოცდილება; • აქვს მეცადინეობების ჩატარების გამოცდილება სხვადასხვა ენობრივი დონის კლასსა და ჯგუფში	• შეუძლია დოკუმენტურად დაადასტუროს 800-დან 2400-მდე დამოუკიდებლად ჩატარებული საგაკვეთილო საათის გამოცდილება: - სხვადასხვა ენობრივ დონეზე - ერთზე მეტ სასწავლო კონტექსტში	• შეუძლია დოკუმენტურად დაადასტუროს 2400-დან 4000-მდე დამოუკიდებლად ჩატარებული საგაკვეთილო საათის გამოცდილება: - ყველა ენობრივ დონეზე C2-ის გარდა - რამდენიმე განსხვავებულ სასწავლო კონტექსტში	• შეუძლია დოკუმენტურად დაადასტუროს დაახლოებით 6000 დამოუკიდებლად ჩატარებული საგაკვეთილო საათის გამოცდილება. • აქვს პედაგოგიური გამოცდილება მრავალ განსხვავებულ სასწავლო კონტექსტში • აქვს კურატორად / მენტორად / ტრენერად მუშაობის გამოცდილება
---------------------------------------	--	--	---	--	---	--



ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები

	I ფაზა		II ფაზა		III ფაზა	
	1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
მეთოდიკა / დიდაქტიკა	- იციის ენის სწავლის თეორიების და სწავლების მეთოდების არსებობის შესახებ - გამოცდილი კოლეგების მეცადინეობებზე დასწრებისას ხვდება, თუ რატომ მიაწიქეს უპირატესობა სწავლების კონკრეტულ ტექნიკებს და კონკრეტულ სასწავლო მასალებს	- აქვს საბაზისო ცოდნა ენის სწავლის თეორიებისა და სწავლების მეთოდების შესახებ - კოლეგების რეკომენდაციის საფუძველზე შეუძლია სწავლების ახალი ტექნიკებისა და ახალი სასწავლო მასალების გამოყენება - შეუძლია სხვადასხვა სასწავლო კონტექსტისათვის რელევანტური სასწავლო ტექნიკებისა და სასწავლო მასალების იდენტიფიცირება	- იცნობს ენის სწავლის თეორიებს და სწავლების მეთოდებს - იცნობს ენის სწავლის თეორიებს და სწავლების მეთოდებს ორი ან მეტი ენობრივი დონისთვის - შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად მიესადაგებიან სწავლების მეთოდები და სასწავლო მასალები გასხვავებულ სასწავლო კონტექსტებს - საკუთარი სწავლების მეთოდებისა და ტექნიკების შერჩევისას შეუძლია კონკრეტული სასწავლო ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება	- კარგად იცნობს ენის სწავლის თეორიებს, სწავლების მეთოდებს, სწავლის სხვადასხვა სტილსა და სტრატეგიას - სწავლების ტექნიკებისა და სასწავლო მასალების უკან შეუძლია შესაბამისი თეორიული კონცეფციების ამოცნობა - შეუძლია სწავლების ტექნიკებისა და აქტივობების დიდი მოცულობის ჯეროვანი გამოყენება	- შეუძლია დიდი რაოდენობით სწავლების ტექნიკებისა და სასწავლო მასალების უკან მდგარი სწავლების მეთოდების თეორიული დასაბუთება - შეუძლია სწავლების ტექნიკების, აქტივობებისა და სასწავლო მასალების უაღრესად ფართო სპექტრის გამოყენება	- დეტალურად იცნობს ენის სწავლის თეორიებსა და სწავლების მეთოდებს და ამ კუთხით კონსულტირებას უწევს კოლეგებს. - კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგად, მათი სწავლების ტექნიკების სპექტრის გაფართოების მიზნით შეუძლია პრაქტიკული, მეთოდურად დასაბუთებული უკუკავშირის მიცემა - შეუძლია კოლეგებს ურჩიოს და დამოუკიდებლად შეუდგინოს ნებისმიერი ენობრივი დონისთვის რელევანტური დავალებები და სასწავლო მასალები
მეცადინეობისა და სასწავლო კურსის დაგეგმვა	შეუძლია მეცადინეობის გეგმაში ლოგიკურად დააკავშიროს ერთმანეთთან სასწავლო აქტივობები, თუკი სასწავლო მასალა ამის საშუალებას იძლევა	- შეუძლია სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობებით დამატებითი აქტივობებით შეესება - შეუძლია ცალკეულ მეცადინეობებს შორის ლოგიკური ზმის უზრუნველყოფა და ამასთან, ბოლო მეცადინეობის სასწავლო შედეგების გათვალისწინება - შეუძლია წინასწარ შედგენილი მეცადინეობის გეგმების იმგვარი ადაპტირება, რომ ჯეროვანი სახით მოხდეს სასწავლო პროგრესისა და არსებული სირთულეების გათვალისწინება	- შეუძლია სილაბუსებისა და სხვა სასწავლო გეგმების გამოყენება მეცადინეობის დაბალანსებულად და ჯგუფის საჭიროებებზე ორიენტაციით დასაგეგმად - შეუძლია გაკვეთლის ფაზებისა და მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაგეგმვა სხვადასხვა სასწავლო მიზნების მისაღწევად - შეუძლია ერთმანეთს შეადაროს მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები და გაკვეთლის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ისინი ძირითადი და დამატებითი მიზნების სახით	- შეუძლია სასწავლო კურსის ან კურსის მონაკვეთის დაგეგმვა სილაბუსის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ხელთ არსებული სასწავლო მასალების გათვალისწინებით - შეუძლია დამოუკიდებლად შეადგინოს დავალებები სასწავლო მასალის ენობრივ და კომუნიკაციურ პოტენციალზე დაყრდნობით - შეუძლია დამოუკიდებლად შეადგინოს დავალებები, ინდივიდუალური საჭიროებებისა და კურსის მიზნების გათვალისწინებით	- შეუძლია საჭიროებების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს დეტალური და დაბალანსებული სასწავლო გეგმა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება გამოცდებისა და სიახლის კომპონენტები - შეუძლია სხვადასხვა ენობრივი დონის სასწავლო მასალებისთვის დავალებების შედგენა - შეუძლია სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების ანალიზის გამოყენება სამომავლო საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში შესაბამისი დონისმიერების განსახორციელებლად	- შეუძლია შეადგინოს სპეციალური კურსები სხვადასხვა კონტექსტებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი კომუნიკაციური და ენობრივი შინაარსები - შეუძლია კოლეგების კონსულტირება სასწავლო კურსისა და მეცადინეობის დაგეგმვის პროცესში ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისა და გათვალისწინების კუთხით - შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს სხვადასხვა სასწავლო კურსის სილაბუსებისა და კურიკულუმების გადამოწმების პასუხისმგებლობა

ინტერაქციის მართვა	• შეუძლია, შესაბამისი ინსტრუქტაჟის შემთხვევაში, ნათელი მითითებების მიცემა და კონკრეტული აქტივობის ორგანიზება	• შეუძლია მასწავლებელი-მოსწავლის ინტერაქციის მართვა • შეუძლია პლენარული ფაზების, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის კომბინირება და ნათელი მითითებების მიცემა • შეუძლია სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობების საფუძველზე ჩართოს მოსწავლეები წყვილებში ან ჯგუფურ მუშაობაში	• შეუძლია წყვილებში და ჯგუფური მუშაობის ეფექტიანი მართვა და მისი პლენარულ ფაზაში გადაყვანა • შეუძლია ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების მართვა • შეუძლია ნათელი უკუკავშირის მიცემა	• შეუძლია სასწავლო მიზნების შესაბამისი, პლენარული, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის ფაზების ვარირება და დაბალანსებულად გამოყენება • შეუძლია დავალებზე ორიენტირებული მეცადინეობის ჩატარება • შეუძლია მოსწავლეთა აქტივობების ეფექტიანად მართვა • შეუძლია ნათელი უკუკავშირის მიცემა/სტიმულირება	• შეუძლია დავალებაზე ორიენტირებული ჯგუფური მუშაობის იმგვარი სახით ორგანიზება, რომ ამავდროულად მოხდეს მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობების განხორციელება • შეუძლია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შედეგების ზუსტი და დეტალური კონტროლი • შეუძლია ინდივიდუალური უკუკავშირის სხვადასხვა სახით მიცემა/სტიმულირება • შეუძლია მართვისა და უკუკავშირის ინსტრუმენტების გამოყენება დამატებითი სასწავლო აქტივობების შესამუშავებლად	• შეუძლია შიდა დიფერენცირების პრინციპზე დაფუძნებული ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ორგანიზება, მონიტორინგი, ანალიზი და მართვა • შეუძლია მრავალრიცხოვანი ტექნიკების დახმარებით უკუკავშირის მიცემა/სტიმულირება
შეფასება	• შეუძლია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით ჩაატაროს და გაასწოროს დასკვნითი ტესტი	• შეუძლია ჩაატაროს და გაასწოროს უკვე შედგენილი დასკვნითი ტესტები (სემესტრული, წლიური) • შეუძლია ჩაატაროს უკვე შედგენილი ზეპირი დასკვნითი ტესტი • შეუძლია განვილი მასალის გასამეორებელი აქტივობების ჯეროვანი სახით შემუშავება და განხორციელება	• შეუძლია გეგმიური, მიმდინარე ტესტების, მათ შორის, ზეპირი ტესტების ჩატარება • შეუძლია ტესტისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სწავლების სფეროსა და თემატიკის განსაზღვრა • შეუძლია გასაგები უკუკავშირის მიცემა იდენტიფიცირებული ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და სამომავლო ინდივიდუალური სამუშაოსთვის პრიორიტეტების განსაზღვრა	• შეუძლია გეგმიური, მიმდინარე ტესტებისათვის დავალებების შერჩევა და ტესტირების ჩატარება ენის ცოდნისა და უნარების კუთხით მიღწეული წარმატებების გასაზომად • შეუძლია, მოსწავლეთა ენობრივი ცნობიერების ასამაღლებლად, წერილობითი ნაშრომების გასწორებისას სხვადასხვა ტიპის შეცდომების მარკირებისთვის კორექტირების კონვენციური სიმბოლოების გამოყენება • შეუძლია დონის განმსაზღვრელი ტესტების მომზადება და ტესტირების პროცესის კოორდინირება	• შეუძლია მიმდინარე ტესტებისათვის (წერილობითი და ზეპირი) მასალებისა და დავალებების შედგენა • შეუძლია მოსწავლეთა ხელშეწყობისა და მათი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს მათი ინტერაქტიული ქცევების ამსახველი ვიდეოჩანაწერები • შეუძლია წერითი და ზეპირი მეტყველების შესაფასებლად ესჩ-ს კრიტერიუმების რელევანტური გამოყენება	• შეუძლია ყველა ენობრივი უნარის, ენის გრამატიკის ცოდნისა და ლექსიკის ფლობის შესაფასებლად დავალებების შედგენა ყველა ენობრივი დონისთვის • შეუძლია ესჩ-ს კრიტერიუმების რელევანტური გამოყენება წერითი და ზეპირი მეტყველების შესაფასებლად ყველა ენობრივ დონეზე და ამ მიმართულებით შეუძლია დაეხმაროს მის ნაკლებად გამოცდილ კოლეგებს • შეუძლია ესჩ-დონის დასადგენად დონის განმსაზღვრელი ვალიდური ტესტების მომზადება • შეუძლია გამომდელთათვის ესჩ-ს შესახებ ტრენინგების ჩატარება



ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის

გამჭოლი კომპეტენციები

	I ფაზა		II ფაზა		III ფაზა	
	1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
ინტერკულტურული კომპეტენცია	ესმის, რომ ენასა და კულტურას შორის კავშირი ენების სწავლა-სწავლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს	- იცის, რომ მეცადინეობაზე კულტურული ასპექტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ - შეუძლია მოსწავლეებს გააცნოს შესაბამისი განსხვავებები კულტურულად განპირობებულ ქცევებსა და ტრადიციებს შორის - შეუძლია კულტურულად და სოციალურად ჰეტეროგენულ ჯგუფებში ტოლერანტული და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნა	- შეუძლია სტერეოტიპების აღქმა და მათთან მოპყრობა - შეუძლია საკუთარი ინტერკულტურული ცნობიერების გამოყენება კულტურულად განპირობებული ქცევების (თავაზიანობა, სხეულის ენა და ა. შ.) შესახებ მოსწავლეთა ცოდნის ხელშეწყობად - შეუძლია გაიაზროს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაკვეთილზე ინტერკულტურული პრობლემების თავიდან აცილება და ხელს უწყობს საერთო ჩართულობასა და ურთიერთპატივისცემას	- ეხმარება მოსწავლეებს სტერეოტიპების ანალიზში - შეუძლია თავისი მეცადინეობის ფარგლებში ინტერკულტურულად რელევანტური საკითხების (მაგ. თავაზიანობა, სხეულის ენა და ა. შ.) თემატიზაცია - შეუძლია ჯგუფის კულტურული თვალსაწიერის შესაბამისი სასწავლო მასალების გამოყენება და მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობების საშუალებით მათი თვალსაწიერის გაფართოება	- შეუძლია ინტერნეტრესურსის, პროექტებისა და პრეზენტაციების გამოყენება საკუთარ თავსა და მოსწავლეებში ინტერკულტურული ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ასამაღლებლად - შეუძლია მოსწავლეებს განუვითაროს სოციალური და კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზისა და განხილვის უნარი - შეუძლია ინტერკულტურულად სენსიტიური მიმართულებების პროგნოზირება და მოსწავლეების დახმარება ამგვარ სიტუაციებთან გამკლავებაში	- შეუძლია მის ხელთ არსებული ფართო ინტერკულტურული ცოდნის გამოყენება და ამგვარად, ნაკლებად გამოცდილი კოლეგების დახმარება - შეუძლია შესაბამისი ტექნიკების გაზიარების გზით დაეხმაროს კოლეგებს ინტერკულტურულად რთულ სიტუაციებთან, გაუგებრობებთან და "კრიტიკულ ინციდენტებთან" გამკლავებაში - შეუძლია მოსწავლეთა ინტერკულტურული აქტივობების, დავალებებისა და სასწავლო მასალების შემუშავება როგორც თავისთვის, ისე კოლეგებისთვის და შეუძლია ამ უკანასკნელთაგან წამოსული უკუკავშირის ანალიზი
ენობრივი ცნობიერება	- შეუძლია ლექსიკონების, გრამატიკის სახელმძღვანელოებისა და სხვა წყაროების გამოყენება - შეუძლია ენასთან დაკავშირებულ მარტივ და მისი სამიზნე ჯგუფების ენობრივი დონის ფარგლებში ხშირად დასმულ კითხვებს გასცეს პასუხი	- შეუძლია A1 - B1 დონის მოსწავლეებს მიაწოდოს სწორი ენობრივი ფორმებისა და მათი გამოყენების მაგალითები - შეუძლია სამიზნე ენასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ პასუხი ყოველთვის სრულყოფილი იყოს, თუმცა A1 - B1 მოსწავლეებისთვის ყოველთვის რელევანტურია	- შეუძლია სწორი ენობრივი ფორმებისა და მათი გამოყენების მაგალითების დონის შესაბამისად მიწოდება, ორი უმაღლესი დონის (C1-C2) გამოკლებით - შეუძლია სამიზნე ენასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ორი უმაღლესი დონის (C1-C2) გამოკლებით	- შეუძლია სწორი ენობრივი ფორმებისა და მათი გამოყენების მაგალითების მიწოდება თითქმის ყველა შემთხვევაში და ყველა დონეზე C2-ის გარდა - შეუძლია მოსწავლეთა ენობრივი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი მიზეზების ამოცნობა - შეუძლია სამიზნე ენასთან დაკავშირებულ კითხვებზე დონისთვის რელევანტური პასუხის გაცემა, C2-ის გარდა	- შეუძლია სწორი ენობრივი ფორმებისა და მათი გამოყენების მაგალითების შერჩევა და მიწოდება თითქმის ყველა სიტუაციაში და ყველა დონეზე - შეუძლია სამიზნე ენასთან დაკავშირებული თითქმის ყველა სახის კითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემა და ნათელი ახსნა-განმარტებების მიცემა - შეუძლია სასწავლო ტექნიკების მთელი სპექტრის გამოყენება, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს ენობრივი თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებასა და შეცდომების დამოუკიდებლად გასწორებაში	- შეუძლია მოსწავლეთა კითხვებს ენის განსხვავებული ასპექტებისა და ენის გამოყენების თავისებურებების შესახებ ყოველთვის სწორი და ამომწურავი პასუხი გასცეს - შეუძლია ენობრივი ფორმების, მნიშვნელობებისა და გამოყენების უმნიშვნელო განსხვავებების ახსნა C1 და C2 დონეებზე
ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის			გვერდი 11			

ციფრული და მედიაწიგნიერება	• შეუძლია საოფისე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით სტანდარტული სამუშაო ფურცლების შექმნა • შეუძლია სასურველი სასწავლო მასალის მოძიება ინტერნეტში • შეუძლია სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალის ინტერნეტიდან ჩამოტვირთვა	• შეუძლია საგაკვეთილო პროცესში ინტერნეტიდან ჩამოტვირთული ტექსტების, სურათების, გრაფიკების და ა. შ. ინტეგრირება • შეუძლია ელექტრონული ფაილებისა და ფოლდერების ლოგიკურ სტრუქტურაში თავმოყრა	• შეუძლია Windows/Mac-ის სტანდარტული პროგრამების და Media Player-ის გამოყენება • შეუძლია ურჩიოს მოსწავლეებსა და კოლეგებს შესაბამისი ონლაინ-მასალების გამოყენება • შეუძლია მეცადინეობის დროს მულტიმედიაპროექტორის დახმარებით ინტერნეტის, DVD-ის და ა. შ. გამოყენება	• შეუძლია მოსწავლეთათვის ონლაინ-დავალებების შედგენა და შესრულების კონტროლი • შეუძლია გრაფიკული, ვიდეო და აუდიოფაილებით სამუშაოდ შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება	• შეუძლია მოსწავლეების სტიმულირება, მათი საჭიროებების შესაბამისად შეარჩიოს და გამოიყენოს ონლაინ-სავარჯიშოები • შეუძლია აუდიო და ვიდეოფაილების დამუშავება და ადაპტირება • შეუძლია კოლეგებს აუხსნას, თუ როგორ ხდება ახალი პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება • შეუძლია პროექტის კოორდინირება ციფრული მედიასაშუალებების (კამერა, ინტერნეტი, სოციალური ქსელები) დახმარებით • შეუძლია საკლასო ოთახში ციფრულ ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემების უმეტესი ნაწილის დამოუკიდებლად აღმოფხვრა	• შეუძლია მოსწავლეთა სტიმულირება, ენის სწავლისას გონივრულად გამოიყენოს საკლასო ოთახში არსებული ყველა სტანდარტული ციფრული მედიასაშუალება (ინტერაქტიული დაფები, მათი მობილური კომპონენტები, პლანშეტები) • შეუძლია დაანახოს კოლეგებს საგაკვეთილო პროცესში ხელმისაწვდომი ციფრული მედიასაშუალებებისა და ინტერნეტრესურსების პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები • შეუძლია სასწავლო პლატფორმების (მაგ. მუდლი) გამოყენებით ინტეგრირებული სასწავლო მოდულების შექმნა
-----------------------------------	---	--	--	---	---	---



ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის

პროფესიონალიზაცია

	I ფაზა		II ფაზა		III ფაზა	
	1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
პროფესიული განვითარება	• ითხოვს საკუთარი გაკვეთილებისა და სხვა სამუშაოს შეფასებას • ღებულობს რჩევებსა და დახმარებას კოლეგებისგან და სახელმძღვანელოებიდან	• მოქმედებს მისი ინსტიტუტის მისიისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად • კოლეგებთან ერთად განიხილავს მოსწავლეების საჭიროებებთან და მეცადინეობის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს • რეაგირებს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ კომპეტენტური პირების მიერ მიცემულ უკუკავშირზე	• იყენებს კოლეგებთან ერთად ერთ ან ორ ენობრივ დონეზე ერთობლივი მეცადინეობების ჩატარების (გუნდური სწავლება) შესაძლებლობას • რეაგირებს გაკვეთილზე დაკვირვების მიერ მიცემულ უკუკავშირზე • შეაქვს წვლილი ინსტიტუტის განვითარებასა და ეფექტიან მენეჯმენტში და პოზიტიურად რეაგირებს ინსტიტუტში მიმდინარე ცვლილებებსა და აქტუალურ გამოწვევებზე	• იყენებს ყველა შესაძლებლობას, რომ მის გაკვეთილებს დაესწრონ ხელმძღვანელები და კოლეგები და მიიღოს მათგან შესაბამისი უკუკავშირი • აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და ემზადება მათთვის • მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინსტიტუტის და მისი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სისტემის განვითარებაში	• მენტორობას / კურატორობას უწევს ნაკლებად გამოცდილ კოლეგებს • კოლეგების დახმარებით ან წინასწარ მომზადებულ სასწავლო და სხვა მასალებზე დაყრდნობით ატარებს ტრენინგებსა და მსგავს აქტივობებს • აკვირდება კოლეგების მეცადინეობებს და აძლევს მათ სასარგებლო უკუკავშირს • შესაძლებლობის შემთხვევაში საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას იმ პროექტების განხორციელებაზე, რომლებიც ინსტიტუტის განვითარებას ემსახურებიან	• ადგენს ტრენინგმოდულებს ნაკლებად გამოცდილი კოლეგებისთვის • ატარებს პროფესიულ განვითარებაზე მიმართულ ტრენინგპროგრამებს • აკვირდება და აფასებს კოლეგებს ყველა ენობრივ დონეზე • ორგანიზებას უკეთებს კოლეგებს შორის გაკვეთილებზე დასწრება-დაკვირვების პროცესს
ადმინისტრირება	• ასრულებს რუტინულ სამუშაოებს, როგორებიცაა დასწრების სიების წარმოება ან სასწავლო მასალების დარიცხვა/შეგროვება/დაბრუნება	• დროულად და სწორად არიგებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ გეგმებსა და დოკუმენტაციას • ეფექტიანად ასწორებს საშინაო დავალებებსა და ტესტებს	• ეფექტიანად აფასებს ნაშრომებს და წერს ანგარიშებს • გასაგებად და ორგანიზებულად აწარმოებს საკლასო ჟურნალს • დროულად წარადგენს დოკუმენტებს და იძლევა უკუკავშირს	• ეფექტიანად ართმევს თავს პედაგოგის ადმინისტრაციულ ამოცანებს • არ ავიწყდება ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანები და დროულად ასრულებს მათ • ჯეროვნად რეაგირებს მოსწავლეთა საჭიროებებზე, მოთხოვნებსა და კომენტარებზე	• ახდენს ადმინისტრაციული ამოცანების კოორდინირებას სხვა კოლეგებთან, საჭიროების შემთხვევაში აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას, ანგარიშებს, მოსაზრებებს და ა. შ. • იღებს პასუხისმგებლობას განსაზღვრული ადმინისტრაციული ამოცანების შესრულებაზე, მაგ., მასწავლებელთა კონფერენციების ორგანიზებაზე, კურსის შესახებ უკუკავშირის დოკუმენტაციის შეგროვებაზე, ანალიზზე და შეფასებაზე და ა. შ.	• მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარ თავზე იღებს კურსის კოორდინაციას • საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს ინსტიტუტის სხვადასხვა მიმართულებასთან (რეგისტრატურა, ადმინისტრაცია, სპონსორები, მშობლები და ა.შ.) • მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინსტიტუტის სამუშაო პროცესების განვითარებასა და გაუმჯობესებაში
ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის			გვერდი 13			

გლოსარიუმი

გამომცდელთა ტრენინგი: ტრენინგი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ერთი და იგივე ინსტიტუტის პედაგოგი ხელმძღვანელობდეს ერთი და იმავე კრიტერიუმებით. მაგალითად, ენის ცოდნის დონის განსასაზღვრისას, მოსწავლის მიერ პროდუცირებული წერილობითი და ზეპირი ტექსტის შეფასებისას, თითოეული მასწავლებელი იყენებდეს ესჩ-ს.

გუნდური სწავლება: კოლეგასთან ერთად მეცადინეობის დაგეგმვა და განხორციელება კონკრეტული მოსწავლეთა ჯგუფისთვის.

დავალეზაზე ორიენტაცია: სამუშაო ფორმა უცხოური ენის გაკვეთილზე, რომლის ფარგლებშიც ენის ათვისების მართვა ხორციელდება კომუნიკაციური და ინტერაქტიული სასწავლო აქტივობებისა და დავალებების საშუალებით.

დიაგნოსტიკური ტესტი: მოსწავლეთა ენობრივი ცოდნის დადგენის მეთოდი. გამოიყენება სასწავლო კურსის დაწყებამდე, რათა მოხდეს მოსწავლეთა ცოდნის შესაბამისი დონის კურსის სწორად შერჩევა.

დოკუმენტური უკუკავშირი: გამოცდილი კოლეგის, კურატორის, ტუტორის/მენტორის ან შესაბამისი აკადემიური ერთეულის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ფორმალიზებული წერილობითი დოკუმენტი გაკვეთილზე დაკვირვების შესახებ.

ენის გამოყენება: სამიზნე უცხოურ ენაზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციისას ენობრივი ფორმებისა და ლექსიკური ერთეულების გამოყენების აქტუალური ფორმა.

ენის შესწავლის თეორიები: თეორიები, რომლებიც აღწერენ ენის სწავლისას აქტუალურ ფსიქოლინგვისტურ, კოგნიტურ და აფექტურ პროცესებს ისევე, როგორც ენის ათვისებაზე - დადებითი გავლენის მქონე პირობებს.

ენობრივი ცნობიერება: მოსწავლის ცოდნა სამიზნე ენის შესახებ (მნიშვნელობა, ენობრივი ფორმები და მათი გამოყენების თავისებურებები) და იმის გაცნობიერება, თუ როგორ ფუნქციონირებს სამიზნე ენა და, ზოგადად, ამ ენაზე კომუნიკაცია.

ესჩ (ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო): ესჩ არის დოკუმენტი, რომელშიც ა) გაწერილია ენობრივი კომპეტენციების დესკრიპტორები (ე. წ. "can-do-აღწერილობები") და ბ) უცხო ენის შემსწავლელის კომუნიკაციური უნარები გადანაწილებულია სხვადასხვა დონეებრივი საფეხურების შესაბამისად (A1, A2; B1, B2; C1, C2). ხსენებული დონეები წარმოადგენენ ენობრივი კომპეტენციების სტანდარტიზებული შეფასების საფუძველს.

ინტეგრირებული სწავლება: საკლასო/აუდიტორული მეცადინეობისა და დისტანციური ონლაინ ფაზების კომბინაცია.

ინტერაქტიული დაფა: დიდი ინტერაქტიული ეკრანი, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერთან და მულტიმედიაპროექტორთან.

კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო სერტიფიკატი: სამიზნე ენის შემსწავლელი სტრუქტურირებული, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის წარმატებულად დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კონტექსტი: სასწავლო გარემოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სასწავლო პროცესსა და საკლასო/აუდიტორულ მეცადინეობაზე. მაგალითად: ქვეყანა, მოსწავლეთა ასაკი (დაწყებითი დონე, საბაზო და საშუალო დონეები), ზრდასრულები, საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი (საჯარო/კერძო სკოლა) და ა. შ.

კორექტირების სიმბოლოები: სხვადასხვა სიმბოლოს ან აბრევიატურის გამოყენება წერილობით ნაშრომებში განსხვავებული ტიპის შეცდომების მარკირებისთვის. მაგალითად: "ლ" - ლექსიკური, "გრ" - გრამატიკული შეცდომა და ა. შ.

კურიკულუმი: კურსების (ენობრივი) მიზნების, შინაარსის, მოცულობის, რეალიზებისა და შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა.

მეთოდოლოგია-დიდაქტიკა: უცხოური ენის სწავლების მეთოდები და პრინციპები.

მენტორი: გამოცდილი პედაგოგი, ტუტორი ან შესაბამისი აკადემიური ერთეულის წარმომადგენელი, რომელიც საკუთარ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას უზიარებს მის ნაკლებად გამოცდილ კოლეგას, რითიც ამ უკანასკნელის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს.

მიკროსწავლება: მასწავლებელთა განათლების/პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში გამოყენებადი სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც მონაწილეები მეცადინეობის მოკლე ფაზას სხვა კოლეგებთან (კურსის სხვა მონაწილეებთან ან მოხალისეებთან) ერთად, ჯგუფში ახორციელებენ. როგორც წესი, ამ აქტივობას აკვირდება კურსის ხელმძღვანელი.

მუშაობა წყვილებში: მეცადინეობისას გამოყენებადი სოციალური ფორმა, რომლის დროსაც ორი მოსწავლე ერთობლივად და ერთდროულად ახორციელებს კონკრეტულ სასწავლო აქტივობებს.

პიროვნული განვითარება: პროფესიული განვითარება, რომელსაც მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების, ცოდნის გაღრმავება-გაფართოებისა და მის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ანალიზის საფუძველზე ახდენს.

სასწავლო პლატფორმა: დისტანციური სწავლებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელს ხდის კურსის მონაწილეთა მონაცემების ადმინისტრირებას, მათთვის საჭირო სასწავლო და საინფორმაციო მასალების ინტერნეტში ატვირთვას, ასევე ონლაინ-აქტივობებზე დაკვირვებასა და შეფასებას. მაგალითად, "მუდლი".

საჭიროებათა კვლევა: სამიზნე ენის შესწავლის სურვილის ან საჭიროების/ვალდებულების იდენტიფიცირების ტექნიკა. ამგვარი ანალიზის ფარგლებში ამავდროულად გათვალისწინებულია ისიც, თუ რა მიზნით და რა კონტექსტში ხდება სამიზნე ენის გამოყენება.

სილაბუსი: ენის კურსის შინაარსისა და მისი ცალკეული კომპონენტების რიგითობის აღწერილობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ენობრივი უნარებისა და ცოდნის გადაცემა. როგორც წესი, ასევე შეიცავს მონაცემებს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების უზრუნველსაყოფად საჭირო მეცადინეობების რაოდენობის შესახებ.

სტერეოტიპები: მყარად ფესვგადგმული და/ან პრიმიტივიზებული წარმოდგენები უცხო ადამიანების, კულტურების ან ქცევების შესახებ.

სწავლების ტექნიკა: საკლასო ოთახში/აუდიტორიაში პროცესების მართვის და პედაგოგის ან ინსტიტუტის მიერ საგაკვეთილო პროცესში მეთოდურ-დიდაქტიკური პრინციპების გამოყენების კონკრეტული ფორმა.

სწავლის სტილი: პიროვნების თავისებურებებით განპირობებული ინდივიდუალური მიდგომები/მიდრეკილებები, რომლებიც ინფორმაციის ათვისებას ან შესაბამისი უნარების შეძენას უწყობს ხელს.

სწავლის სტრატეგიები: მოსწავლეთა გეგმაზომიერი ქცევის პრინციპი, რომელიც ორიენტირებულია ენების შესწავლაზე, ინფორმაციის გამოყენებასა და გადამუშავებაზე, სამიზნე ენის ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების, გრამატიკული წესების ან სხვა ასპექტების ათვისებაზე.

სწავლის შედეგები: სასწავლო პროცესის შედეგები (ის, რაც მოსწავლეებმა სინამდვილეში ისწავლეს), რომლებიც რიგ შემთხვევებში შესაძლოა არ ემთხვეოდეს (წინასწარ დაგეგმილ) სამიზნე კომპეტენციებს (სასწავლო მიზნებს).

სწავლის შედეგების გასაზომი ტესტი: სასწავლო კურსის ფარგლებში მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების გაზომვის ინსტრუმენტი.

სწორი ენობრივი ფორმების და მათი სწორად გამოყენების მაგალითები: ენობრივი სტრუქტურების სწორი და კონტექსტის შესაბამისი მაგალითები, რომელთა იმიტირება და სათანადო ვარჯიში მოსწავლეებს სამიზნე ენობრივი უნარ-ჩვევების გაღრმავების

საშუალებას აძლევს.

ტესტები: კომპეტენციების, ცოდნისა და მიღწევების გაზომვის/შემოწმების ინსტრუმენტი. არსებობს ტესტის ოთხი ძირითადი ტიპი: დიაგნოსტიკური ტესტი, დონის განმსაზღვრელი ტესტი, პროგრესის გასაზომი ტესტი და ცოდნისა და უნარების გასაზომი ტესტი

შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა: მეცადინეობა, რომელსაც ოფიციალურად ესწრება და აფასებს გამოცდილი კოლეგა, პრაქტიკის კურატორი, ტუტორი/მენტორი ან შესაბამისი აკადემიური ერთეულის წარმომადგენელი.

ციფრული მედიასაშუალებები: ციფრული სასწავლო მასალა (ტექსტები, ილუსტრაციები, აუდიო და ვიდეოფაილები), რომელთა გაზიარებაც ინტერნეტის საშუალებითაა შესაძლებელი.

წყარო: ლექსიკონები, გრამატიკის სახელმძღვანელოები, მასწავლებლის წიგნები, ენციკლოპედიები და ა. შ.

ჯგუფური მუშაობა: მეცადინეობისას გამოყენებადი სოციალური ფორმა, რომლის დროსაც მოსწავლეთა ჯგუფები ერთობლივად და ერთდროულად ახორციელებენ კონკრეტულ სასწავლო აქტივობებს.

ევროპული პროფილთა ბაღე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის

სახელმძღვანელო



ავტორები:

გალინა მატაევა, ალბენა ვიტანოვა, სვეტლანა ტაშევსკა

დამკვეთი: OPTIMA (პროექტის პარტნიორი)

კონსულტანტი და გამომცემელი

რიჩარდ როსნერი

დამკვეთი: EAQUALS (პროექტის პარტნიორი)

სახელმძღვანელოს მიზნები

მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს ევროპული პროფილთა ბადის (ეპბ) მნიშვნელოვან დამხმარე კომპონენტს. მისი მიზანია:

- ❖ პროფილთა ბადისა და მისი მიზნების პრეზენტაცია;
- ❖ ეპბ-ს სტრუქტურისა და შინაარსის აღწერა;
- ❖ პრინციპების და მოსაზრებების ილუსტრირება, რომლებიც ეპბ-ს უდევს საფუძვლად;
- ❖ ეპბ-სა და ეპბ-დიჯიტალის გამოყენების შესაძლებლობების აღწერა;
- ❖ ძირითადი სამიზნე ჯგუფებისთვის (უცხოური ენების მასწავლებლები, მასწავლებელთა განათლებაზე/პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირები) ეპბ-სა და ეპბ-დიჯიტალის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მითითებების მიცემა;
- ❖ ეპბ-ს გამოყენებასთან დაკავშირებით ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- ❖ დარგობრივი ტერმინების გლოსარიუმის შექმნა.

ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის - მიზნები

ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის - ეპბ (გერმანულად EPR, ინგლისურად EPG) წარმოადგენს **ინოვაციურ ინსტრუმენტს**, რომლის პირველადი მიზანია, ენის მასწავლებლების, მასწავლებელთა განათლებაზე და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისა და ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელებისთვის რელევანტური ინსტრუმენტის მიცემა, მიმდინარე რეჟიმში ენის მასწავლებლების კომპეტენციების გამოსავლენად და, აქედან გამომდინარე, მათი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. შესაბამისად, ეპბ-ს მიზანია განათლების/კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობებისა და ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხარისხის და ეფექტიანობის გაზრდა.

ეპბ-ს სპეციფიკური მიზნები უფრო დაწვრილებით:

- ❖ ენის მასწავლებლების უნარებისა და კომპეტენციების მიმდინარე რეჟიმში გამოვლენის და შესაბამისი ვიზუალიზაციის საშუალებით თვითშეფასების ხელშეწყობა;
- ❖ ენის ინსტიტუტებში დასაქმებული მასწავლებლების ინდივიდუალური ან ჯგუფური პროფილების შექმნა, რომლებშიც სხვადასხვა კომპეტენციათა სფეროებში უკვე მიღწეული დონეები ცალსახა და გამჭვირვალე დესკრიპტორების საშუალებით იქნება განმარტებული;
- ❖ კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირება, შემდგომი ინდივიდუალური პროფესიული განვითარების ან ტრენინგ-პროგრამების დასაგეგმად;
- ❖ ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირებისათვის ქმედითი ინსტრუმენტის შეთავაზება, პედაგოგიური შტატის დაკომპლექტებისას კონკურსანტების კომპეტენციების და წინასწარი კვალიფიკაციის ჯეროვანი სახით შესაფასებლად და თანამშრომლებისთვის პედაგოგიური უკუკავშირის მისაცემად;
- ❖ ევროპის მასშტაბით არსებული განსხვავებული პედაგოგიური კონცეპციებისა და სისტემების და ენის სწავლების ტრადიციების კუთხით ყოველმხრივი ურთიერთგაგების ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარების სტიმულირება;

- ❖ უცხოური ენების სწავლების სტანდარტების გამჭვირვალობის ხელშეწყობა და ევროპის მასშტაბით პედაგოგთა მობილობის გამარტივება.



ეკბ არ იყო ჩაფიქრებული როგორც მეცადინეობაზე დაკვირვების, კონკურსანტებთან გასაუბრების ან ენის მასწავლებლების შეფასების ანკეტა. ეკბ-ს გამოყენება შეიძლება მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტის სახით, ენის მასწავლებლების შერჩევის და მათი შეფასების პროცესში. მისი ძირითადი დანიშნულებაა არსებული მდგომარეობის დადგენა, კერძოდ კი იმის განსაზღვრა, თუ მოცემულ მომენტში პროფესიული განვითარების რომელ ფაზაში იმყოფებიან ენის მასწავლებლები; შესაბამისად, მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პერსპექტივების დასახვა/მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

პრინციპები და მოსაზრებები, რომლებსაც ეფუძნება ეკბ

ეკბ ეფუძნება შემდეგ პრინციპებსა და მოსაზრებებს:

კომპეტენციებზე ორიენტაციის პრინციპი („can-do დესკრიპტორები“)

ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (ესჩ) ანალოგიურად ეკბ-ს შემთხვევაშიც ენის მასწავლებლების კომპეტენციები განიხილება პოზიტიური პერსპექტივიდან, ანუ: ეკბ ფოკუსირებულია იმაზე, თუ რა იცის ან რა შეუძლია ენის მასწავლებელს მისი პროფესიული კარიერის კონკრეტულ ფაზაში. ეს პრინციპი ამავდროულად ასახავს ქმედებაზე ორიენტაციის პრინციპს სწავლის, სწავლებისა და შეფასების სფეროებში.

დესკრიპტორების აკუმულირებადი ხასიათი

პროფესიული განვითარების, როგორც უწყვეტი პროცესის წარმოსაჩენად, ეკბ-ს დესკრიპტორები 3 მოზრდილ ფაზაშია გადანაწილებული, რომელიც, თავის მხრივ, ორ-ორ უფრო მცირე ფაზად იყოფა. თითოეული ფაზა მოიცავს და ეფუძნება წინა ფაზაში აღწერილ კომპეტენციებს, აფართოებს ან ავსებს მათ დამატებითი კომპეტენციებით.

თვითშეფასების და კოლეგების შეფასების პრინციპი

ეკბ-ს საფუძვლად უდევს იდეა, რომ ნებისმიერ ენის ინსტიტუტში არსებობს თვითშეფასების კულტურა, ან, ალტერნატივის სახით, ინსტიტუტი ცდილობს ეკბ-ს საშუალებით ამ კულტურის დანერგვას. ეკბ ენის მასწავლებლებს საკუთარი საგაკვეთილო პროცესის საფუძვლიანი და ობიექტური შეფასების საშუალებას აძლევს. ხდება თვითშეფასების სტიმულირება, პედაგოგთა პროფესიული განვითარების მონიტორინგის და ხელშეწყობის მიზნით. ტრენერებსა და ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელებს შეუძლიათ ეკბ-ს დამატებითი ინსტრუმენტის სახით გამოყენება, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების დასადგენად და, ამგვარად, ინსტიტუტის სასწავლო ხარისხის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რეფლექსიის პრინციპი

ეს პრინციპი მჭიდროდ უკავშირება თვითშეფასების პრინციპს: როდესაც ენის მასწავლებლები იაზრებენ თვითშეფასების ან კოლეგების, ტრენერებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირების მიერ გაკეთებული შეფასებების შედეგებს, მათ ნაკლებად აქვთ საკუთარი თავის ზედმეტად მაღალი ან ზედმეტად დაბალი შეფასებისკენ მიდრეკილება. მასწავლებლები აცნობიერებენ საკუთარ ნაკლოვანებებსა და პროფესიული განვითარების საჭიროებებს. ეპბ-ს გამოყენება იძლევა ქმედით სტიმულს რეფლექსიისა და კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

მულტილინგვურობის პრინციპი

ნებისმიერს, ვინც უცხოურ ენას ასწავლის, მინიმუმ ორ ენასთან უწევს ურთიერთობა: ენასთან, რომელსაც ასწავლის („სამიზნე“ ან „უცხოური ენა“) და მოსწავლეთა მშობლიურ ან პირველად ენასთან. ჩვენს მულტიკულტურულ მსოფლიოში ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ სასწავლო ჯგუფში აღმოჩნდნენ განსხვავებული პირველადი ენის მატარებლები და/ან მოსწავლეებს უკვე ათვისებული ჰქონდეთ ერთი ან მეტი უცხო ან მეორე ენა. ეპბ უშუალოდ არ ითვალისწინებს ამ გარემოებას და მის შედეგებს ენის სწავლების კუთხით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგები მხედველობაში მიიღებენ საკუთარი მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებსა და საჭიროებებს, ხსენებულ გამოწვევასთან გამკლავება შესაძლებელი გახდება. მეცადინეობის მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვის, სწავლების სხვადასხვა ტექნიკის, ინტერაქტიული პროცესების მართვის თუ საკუთარი ინტერკულტურული კომპეტენციების წყალობით, მასწავლებელი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ფარგლებში აქტუალური ენების მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებულ დამოკიდებულებას. ამგვარად ხდება იმის მიღწევა, რომ მოსწავლეები სამიზნე ენის შესწავლის პროცესში იყენებენ უკვე შესწავლილი უცხოური ენების ათვისებისას შეძენილ უნარ-ჩვევებს, მოტივირებული არიან, მოძებნონ მსგავსებები და განსხვავებები ენებს შორის, განახორციელონ ანალიზი და, ამგვარად, საკუთარ მულტილინგვურ განვითარებას შეუწყონ ხელი.

ენის გაკვეთილის ერთიანი ევროპული სტანდარტის საჭიროება

ეფუძნება რა კვალიფიკაციას, ენობრივ კომპეტენციას, ლინგვისტურ ცნობიერებას, საკვანძო პედაგოგიურ კომპეტენციებს და პროფესიულ პედაგოგიურ ქცევას, ეპბ გვთავაზობს ერთიან ევროპულ სტანდარტს უცხოური ენების მასწავლებლებისათვის. ამასთანავე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ხდება ექსპერტთა ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების სტიმულირება.

უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება

გამომდინარე იქიდან, რომ ეპბ წარმოადგენს ევროპის მასშტაბით განხორციელებული კვლევის შედეგს და პროგრესიის ფორმით ასახავს პედაგოგიური კომპეტენციების ფართო სპექტრს, ის ქმედითი ინსტრუმენტია კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებებთან, უცხოური ენების მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან და ენის ინსტიტუტების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაკრებად.

პროფილთა ბადის ღია ხასიათი

წარმოდგენილი პროფილთა ბადე არ უნდა იქნას აღქმული როგორც დასრულებული ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის

პროდუქტი. ეპზ შესაძლებელია გაფართოვდეს და შეივსოს ახალი კატეგორიებით და დესკრიპტორებით და მოერგოს სხვადასხვა კონტექსტს. ეპზ-ს მუდმივი დახვეწა-განვითარება შესაძლებელი და აუცილებელი პროცესია.

ეპზ-ს სტრუქტურა

ეპზ-ს **დესკრიპტორები**, უმეტეს შემთხვევაში ოპერირებენ სიტყვით „შეუძლია“ და სრულად ასახავენ ენის მასწავლებლის საქმიანობის მრავალწახნაგოვან ხასიათს. დესკრიპტორები ენის მასწავლებლების კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების პროგრესიას საფეხურების მიხედვით წარმოაჩენენ: ეტაპობრივი სტრუქტურა იწყება იმ ადამიანებით, ვინც ჯერჯერობით ეუფლება მასწავლებლის პროფესიას, გრძელდება დამწყები მასწავლებლებით, მცირე პედაგოგიური გამოცდილების მქონე სპეციალისტებით და მთავრდება გამოცდილი, პროფესიონალი უცხოური ენის მასწავლებლებით.

პროფილთა ბადეში მოცემული პროგრესია ჰორიზონტალურად აისახება: ის უცხოური ენების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების **ექვს ფაზას** მოიცავს. მოცემული ექვსი ფაზა, თავის მხრივ, მეტი პრაქტიკულობისთვის სამ დიდ ფაზაშია გადანაწილებული: 1.1 და 1.2, 2.1 და 2.2, 3.1 და 3.2. ეს ფაზები წარმოაჩენენ უცხოური ენის მასწავლებელთა განსხვავებულ კვალიფიკაციებსა და გამოცდილებას და მათი კომპეტენციის სხვადასხვა ხარისხს.



თითოეული ფაზა მოიცავს ოთხ ძირითად კატეგორიას, რომლებიც კვალიფიკაციებს და უცხოური ენის სწავლების კომპეტენციებს აღწერენ: **კვალიფიკაცია/გამოცდილება**, **საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები**, **გამჭოლი კომპეტენციები** და **პროფესიონალიზაცია**. საერთო ჯამში, ეპზ ვერტიკალურად დაყოფილია ცამეტ კატეგორიად, რომლებიც ხსენებულ ოთხ ძირითად კატეგორიაშია

გადანაწილებული (ფოტო: <http://www.epg-project.eu/grid/>).

ეს სტრუქტურა გასაგები სახით იკვრება პროფილთა ბადეში:

პირველი ძირითადი კატეგორია - **კვალიფიკაცია/გამოცდილება**, მოიცავს ოთხ **ქვეკატეგორიას**, რომლებიც აღწერენ: ენის მასწავლებლის სამიზნე ენის ცოდნის დონეს, მიღებულ განათლებას ან კვალიფიკაციას, მიღებული განათლების ან ტრენინგების პრაქტიკულ შედეგს (იზომება გაკვეთილებზე განხორციელებული დაკვირვებისა და შეფასების ფორმით) და პროფესიულ გამოცდილებას (იზომება ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობით). ამგვარი მიდგომის მიზანია ევროპის მასშტაბით მშობლიურენოვანი და არამშობლიურენოვანი მასწავლებლების ენობრივი კომპეტენციების ფართო სპექტრის სრული ასახვა. მეორე ძირითადი კატეგორია - **საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები**, ასევე ოთხ **ქვეკატეგორიას** მოიცავს, რომლებიც აღწერენ ენის მასწავლებლის ცოდნასა და უნარებს მეთოდო-დოქტრინის, მეცადინეობისა და სასწავლო კურსის დაგეგმვის კუთხით, ინტერაქტიული პროცესების მართვისა და ევალუაციის მიმართულებებით. მესამე ძირითადი კატეგორია - **გამჭოლი კომპეტენციები**, მოიცავს სამ **ქვეკატეგორიას**: ინტერკულტურული კომპეტენცია, ენობრივი ცნობიერება და ციფრული და მედიაწიგნიერება. მეოთხე ძირითადი კატეგორია - **პროფესიონალიზაცია**, მოიცავს ორ **ქვეკატეგორიას**: **პროფესიული განვითარება და ადმინისტრირება**; აქ აქცენტი კეთდება ადმინისტრაციული ფუნქცია-ვალდებულებების შესრულების ფორმასა და

ხარისხზე, კოლეგიალური თანამშრომლობის უნარზე ისევე, როგორც საკუთარი პროფესიული განვითარებისა და საკუთარი ინსტიტუტის განვითარებისათვის განხორციელებულ აქტივობებზე.

პროფილთა ბადის გამოყენების სფეროები

თვითშეფასება

ენის მასწავლებლებს შეუძლიათ ეპბ-ს დესკრიპტორების გამოყენება, ბადეში მოცემული კატეგორიების შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციების შესაფასებლად. და ამის გაკეთება შეუძლიათ მათი პროფესიული თუ კარიერული წინსვლის ნებისმიერ ეტაპზე. ამისათვის საკმარისია პროფილთა ბადის რელევანტური დესკრიპტორის არჩევა და ამის შემდეგ ცარიელი ბადის (დანართში იხილეთ ცარიელი პროფილთა ბადე და შევსებული პროფილთა ბადის მაგალითები) შესაბამისი უჯრის მარკირება. მასწავლებლებს შეუძლიათ მათი ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გზების აღმოჩენა და ამ მიმართულებით პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისგან საჭირო რჩევების მიღება. ამგვარი თვითშეფასების განხორციელება შესაძლებელია გარკვეული პერიოდულობით, რაც საკუთარი პედაგოგიური განვითარების მონიტორინგის საშუალებას იძლევა. გამოცხადებულ ვაკანსიაზე კონკურსში მონაწილეობისას ყველა საჭირო საბუთთან ერთად წარმოდგენილი თვითშეფასების ამობეჭდილი ფორმები შეიძლება საკმაოდ დიდ უპირატესობად იქცნენ.

კოლეგების შეფასება

ეპბ აიოლებს სკოლის ან ენის ინსტიტუტის თითოეული მასწავლებლის, ან მთელი პედაგოგიური კორპუსის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს. ეპბ-დიჯიტალის საშუალებით შესაძლებელია სწრაფად გაკეთდეს პედაგოგიური კორპუსის კომპეტენციათა ვიზუალურად მაღალი ხარისხის და ამავე დროს ეფექტური გამოსახულება, რომელსაც დიაგრამის ფორმით შესრულებული ჯგუფური პროფილის სახე ექნება. პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს მასწავლებელთა მიერ ამგვარად განხორციელებული თვით- და კოლეგების შეფასების საფუძველზე შეუძლიათ მთელი კოლექტივის პროფესიული წინსვლისთვის თვალის გადევნება და შეფასება ისევე, როგორც პროფესიული განვითარების კუთხით არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა.

პროფესიული განვითარება / ტრენინგები

ეპბ-ს დახმარებით, თვით- და კოლეგების შეფასების საფუძველზე შედგენილი ინდივიდუალური და ჯგუფური პროფილები პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს მიზანმიმართული დახმარების გაწევის საშუალებას აძლევენ, ეხმარებიან მათ საჭიროებების შესაბამისი საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამების შემუშავებაში, სკოლების გარეთ შეთავაზებულ ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების სასერტიფიკაციო კურსებში მონაწილეობის რეკომენდაციის გაწევაში. შესაძლებელი ხდება გამოცდილი კოლეგების ექსპერტული ცოდნის გამოყენება, გაააქტიურებენ რა მათ როგორც ნაკლებად გამოცდილი მასწავლებლების კურატორებს ან შესთავაზებენ გარკვეული ტრენინგ-აქტივობების დაგეგმვა-ჩატარებას. ამ ყოველივეს მისაღწევად ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ყველა აუცილებელი წინაპირობა უნდა შექმნას (ტრენინგების დროს უშუალო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება, შესაბამისი ფინანსური რეგულაციების შემუშავება და ა. შ.), რათა უზრუნველყოფილ იქნას პედაგოგიური კორპუსის პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების უწყვეტი პროცესი.

ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელობა (მენეჯმენტი)

იმის მიუხედავად, რომ ეპზ უშუალოდ ამ მიზნით არ ყოფილა შემუშავებული, ის ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც დამხმარე ინსტრუმენტი ენის მასწავლებელთა კორპუსის შესავსებად: ეპზ, პირველ რიგში, ეფექტიანი ინსტრუმენტია, როდესაც კონცენტრაცია ცალკეულ კატეგორიებსა თუ დესკრიპტორებზე კეთდება. გამომდინარე იქიდან, რომ ეპზ კონკრეტულ სტანდარტებს აყალიბებს, ის ხელმძღვანელ პირებს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება (ახალი მასწავლებლის შერჩევა/დაქირავება, ენის მასწავლებლებზე ახალი პასუხისმგებლობების დაკისრება და ა. შ.)

ხარისხის განვითარება

ეპზ წარმოადგენს ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის, ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შეფასების საერთო საერეკომენდაციო ჩარჩოს. შესაბამისად, ეპზ არის სანდო ინსტრუმენტი სხვადასხვა ინსტიტუტსა და კონტექსტში ენის გაკვეთილის ხარისხის განვითარების უზრუნველსაყოფად: პირველ რიგში იმიტომ, რომ ბადეში წარმოდგენილი შეფასების სტანდარტები ზოგადი და უნივერსალური ხასიათისაა და არაა არც ერთ ინსტიტუტზე მიზმული.

სერტიფიცირება

ყველა საჭირო პროცედურის ჯეროვანი სახით შემუშავებისა და დამატებითი ინსტრუმენტის შექმნის შემთხვევაში, ეპზ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ენების მასწავლებელთა სერტიფიცირების საფუძველი.

პროფილთა ბადის ძირითადი სამიზნე ჯგუფები

ინდივიდუალური მომხმარებლები:

- ❖ კერძო და საჯარო სასკოლო სექტორში დასაქმებული ენის მასწავლებლები
- ❖ გამოუცდელი და დამწყები ენის მასწავლებლები
- ❖ გამოცდილი ენის მასწავლებლები
- ❖ კურატორები, მენტორები, ტრენერები (ინსერვისი)
- ❖ ტუტორები, კურატორები, მენტორები, ტრენერები (პრესერვისი)
- ❖ განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები
- ❖ ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირები

ინსტიტუციონალური მომხმარებლები:

- ❖ ენობრივი მომზადების სკოლები
- ❖ ენის კათედრები/განყოფილებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში
- ❖ ენის კათედრები/მიმართულებები/ფაკულტეტები ისევე, როგორც ენის ცენტრები და განყოფილებები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
- ❖ (სპეციალიზებული) უცხო ენების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ❖ ხარისხის განვითარების ინსტიტუტები
- ❖ განათლების სამინისტროები
- ❖ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინსტიტუტები
- ❖ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები

მოხმარების ინსტრუქცია ენის მასწავლებლებისთვის

თუ თქვენ აპირებთ გამოხვიდეთ ან უკვე ხართ ენის მასწავლებელი, **ეპბ** ან **ეპბ-დიჯიტალი** საჭირო ინსტრუმენტია, რომელიც თქვენი პედაგოგიური პრაქტიკის დამოუკიდებლად შეფასებასა და პროფესიული განვითარების პროცესის მუდმივ მონიტორინგში დაგეხმარებათ. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტუაცია, რომლებშიც შეძლებთ პროფილთა ბადის გამოყენებას, რათა სწრაფად მიიღოთ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სწორი კვალიფიკაციის მიღება

აპირებთ გამოხვიდეთ ენის მასწავლებელი, მაგრამ ენა, რომლის სწავლებაც გსურთ, არ არის თქვენი მშობლიური ენა? თქვენ მას უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდით, თუმცა არ გაგაჩნიათ ფორმალური კვალიფიკაცია, რომელიც ამ ენის სწავლების უფლებას გაძლევთ? **ეპბ-ს კატეგორიაში „განათლება/კვალიფიკაცია“** იპოვით იმ ენობრივ და პრაქტიკულ პედაგოგიურ კვალიფიკაციებს, რომლებიც დაგჭირდებათ ენის მასწავლებლად მუშაობის უფლების მოსაპოვებლად: შესაძლოა გადაწყვიტოთ სტანდარტიზებული ენის გამოცდის ჩაბარება და/ან მოძებნოთ მასწავლებელთა ტრენინგის/პედაგოგიური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა, რათა შეძლოთ ინტეგრირებული და შეფასებული პრაქტიკული კომპონენტის წარმატებულად დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება. თუკი მშობლიური ენის სწავლება გსურთ, შესაძლებელია ეძებდეთ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც გასცემს პედაგოგიური კვალიფიკაციის დამადასტურებელ საერთაშორისო დიპლომს/სერტიფიკატს.

შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტი

უფლებით მასწავლებლის სპეციალობას. **ეპბ-ს კატეგორია „შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა“** დაგანახებთ პრაქტიკის კომპონენტის და მიღებული უკუკავშირის მნიშვნელობას: თქვენ შეეცდებით, რაც შეიძლება ხშირად ჩაატაროთ მეცადინეოები - იქნება ეს გუნდური სწავლება, მიკროსწავლება თუ სხვადასხვა ენობრივ დონეზე ცალკეული გაკვეთილების ჩატარება. შეეცდებით გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რომ თქვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილს დაესწრონ და დააკვირდნენ თქვენი კურატორი, მენტორი, ან თქვენი თანაკურსელები, მოახდენთ მათგან მიღებული უკუკავშირის დოკუმენტირებას და ყველა მითითებას თუ შეფასებას პედაგოგიური პრაქტიკის შემდგომ ეტაპებზე გაითვალისწინებთ. ხოლო როდესაც უკვე რეალურად დაიწყებთ სწავლებას, ანუ ჩაიბარებთ ჯგუფს ან კლასს, შეეცდებით, რომ კუკავშირი თქვენს გაკვეთილებზე დაკვირვების შესახებ წერილობითი დოკუმენტის სახით მიიღოთ.

საკუთარი საჭიროებების გაცნობიერება

ხართ დამწყები მასწავლებელი: ამჩნევთ, რომ თქვენი ცოდნა ენის შესწავლის თეორიების, სწავლების მეთოდების, სწავლის სტილებისა და სტრატეგიების კუთხით გაღრმავებას საჭიროებს. აკეთებთ შედარებას **ეპბ-ს კატეგორიასთან „მეთოდოლოგია-დიდაქტიკა“**. თქვენ რეგულარულად ესწრებით თქვენი ინსტიტუტის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებს, რადგან გსურთ ხსენებული კატეგორიის 2.2, მოგვიანებით კი 3.1 ფაზის მიღწევა, რაც მხოლოდ ტრენინგების (ინსერვისი) საშუალებითაა შესაძლებელი. მაგალითად, თუ გსურთ შეფასების კომპეტენციების ამაღლება, მოგვიანებით შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი ინსტიტუტის მიერ შეთავაზებულ გამომცდელთა ტრენინგში მონაწილეობის მიღება (შდრ.

კატეგორია „შეფასება“).

ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

ხარტ გამოცდილი მასწავლებელი: პირველად გყავთ მრავალენოვანი ჯგუფი და ამჩნევთ, რომ გჭირდებათ თქვენი ინტერკულტურული კომპეტენციის გაღრმავება. აკეთებთ შედარებას ებზ-ს კატეგორიასთან „ინტერკულტურული კომპეტენცია“, შეეცდებით, რომ თქვენი სასწავლო აქტივობები ატარებდნენ ინტერკულტურულ ხასიათს; აღმოაჩენთ, რომ მოსწავლეები ცდილობენ კულტურული და სოციალური მსგავსებების და განსხვავებების გააზრებას, ან შეეცდებით უკეთ გააანალიზოთ თქვენი მოსწავლეების კულტურული ფონი და ამგვარად, ისწავლით კულტურულად მგრძნობიარე თემების პროგნოზირებას და თქვენს მოსწავლეებსაც ასწავლით ამგვარ საკითხებთან ეფექტიანად გამკლავებას.

ხარტ გამოცდილი მასწავლებელი და უკვე 10 წელიწადზე მეტია რაც ასწავლით. ამჩნევთ, რომ ცალკეული მიმართულებები, რომლებიც საგაკვეთილო პროცესზე ახდენენ გავლენას - მაგალითად, ციფრული მედიასაშუალებები - ძალიან სწრაფად ვითარდება. ამგვარ გამოწვევებთან გასამკლავებლად ცდილობთ თქვენი მედიაკომპეტენციის გაუმჯობესებას. აკეთებთ შედარებას კატეგორიასთან „ციფრული და მედიაწიგნიერება“ და სინჯავთ სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფას, ეცნობით ინტერაქტიული დაფების გამოყენების თავისებურებებს (თუკი ამგვარი თქვენს სასწავლო დაწესებულებაში არსებობს) და ციფრული პრეზენტაციების სხვა ფორმებს, ცდით პროექტებზე მუშაობას ციფრული მედიასაშუალებების გამოყენებით და ამასთან, იყენებთ სასწავლო პლატფორმებს, მაგალითად მუდღის.

პროფესიული განვითარება

ხარტ გამოცდილი მასწავლებელი. დგახართ 3.1 და 3.2 ფაზების მიჯნაზე და ხვდებით, რომ შეგიძლიათ კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ორიენტაციას იღებთ კატეგორიაზე „განათლება/გამოცდილება“ და გეგმავთ შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლას ან საერთაშორისო საუნივერსიტეტო სერტიფიკატის აღებას. ან სთხოვთ თქვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რაც შეიძლება აქტიურად ჩაერთონ შიდა ტრენინგების ჩატარების პროცესში ან სთავაზობთ თქვენს საკუთარ ტრენინგპროგრამებს. საკუთარი კანდიდატურა ასევე შეგიძლიათ შესთავაზოთ შიდა დამკვირვებლად კოლეგების მიერ ჩატარებული მეცადინეობებზე უკუკავშირის უზრუნველსაყოფად (შდრ. კატეგორია „პროფესიული განვითარება“).

მოხმარების ინსტრუქცია მასწავლებელთა განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის

მაგალითისთვის, თქვენ პასუხს აგებთ ენის გაკვეთილების ხარისხზე და მასწავლებელთა კორპუსის პროფესიულ განვითარებაზე. თქვენი ამოცანაა ინდივიდუალური და ჯგუფური ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება ისე, რომ მოხდეს თითოეული მასწავლებლის საჭიროებების გათვალისწინება. ასევე გევალებათ ტრენინგპროგრამების მომზადება? ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტუაცია, რომლებშიც შეძლებთ პროფილთა ბადის გამოყენებას, რათა სწრაფად მიიღოთ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

თითოეული მასწავლებლის პედაგოგიური კომპეტენციების შეფასება

თქვენ შეგიძლიათ ეკბ-ს ან მისი ცალკეული ნაწილების გამოყენება, რათა მიმდინარე რეჟიმში შეაფასოთ ცალკეული მასწავლებლების პედაგოგიური კომპეტენციები. ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მასწავლებელთა მიერ შედგენილი თვითშეფასების ფორმები, რომელთა მონაცემებსაც შეაჯერებთ საგაკვეთილო პროცესზე თქვენ მიერ განხორციელებული დაკვირვებებისა და გასაუბრების შედეგებთან. საბოლოოდ შეგიძლიათ ჩაატაროთ ინდივიდუალური ინტერვიუები მასწავლებლებთან ეკბ-ს საფუძველზე შედგენილი თვითშეფასებისა და კოლეგების შეფასების შესახებ, რათა მოხდეს ძლიერი და სუსტი მხარეების უკეთ გამოკვეთა და შეფასებებში დაფიქსირებული შესაძლო განსხვავებების განხილვა. ამასთან, კონცენტრირება შეგიძლიათ მხოლოდ ერთ კონკრეტულ კატეგორიაზე, ქვეკატეგორიაზე ან მხოლოდ ერთ დეკრიფტორზეც კი. ამგვარად შეძლებთ თითოეული პედაგოგის კომპეტენციების სრული სპექტრისა და პროფესიული განვითარების ფაზის დადგენას და დოკუმენტურად დაფიქსირებას.

ჯგუფური პროფილის შექმნა

მასწავლებელთა ინდივიდუალური პროფილების შეჯერებით შეგიძლიათ ჯგუფური პროფილის შექმნა. ეკბ-დიჯიტალი დიაგრამების საშუალებით შესაძლებელს ხდის ენის მასწავლებელთა ჯგუფის კომპეტენციების ზოგადი ტაბელარული მიმოხილვის მიღებას. ამ ტიპის დოკუმენტი შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ენის ინსტიტუტების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული შიდა- და გარეინსტიტუციონალური პროცედურების კუთხით. თუმცა მასწავლებელთა ჯგუფისთვის ტრენინგპროგრამის დაგეგმვისას მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიიღოთ სურათი მთლიანი პედაგოგიური კორპუსის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ეს ინფორმაცია ასევე დაგეხმარებათ გადაწყვეტოთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ცალკეულმა კოლეგებმა საკუთარი გამოცდილება და კომპეტენციები დანარჩენებს გაუზიარონ და თუკი ამგვარი შესაძლებლობა არსებობს, კონკრეტულად ვის შეუძლია ამის გაკეთება. ამ ყველაფერთან ერთად, უფრო იოლად შეძლებთ იმის განსაზღვრას, თუ კონკრეტულად რომელი ტრენინგსაჭიროებების დაფარვა შეგიძლიათ შიდაინსტიტუციონალური რესურსის გამოყენებით და რა მიმართულებებით მოგიწევთ ტრენინგების გარედან მოზიდვა.

ტრენინგპროგრამების შედგენა და ტრენინგების ჩატარება მოქმედი მასწავლებლებისათვის (ინსერვისი)

ეკბ-ს დახმარებით შედგენილი ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროფილები

წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დასაგეგმად. თუმცა, ამავე დროს, მათი გამოყენება ძალზე პროდუქტიულად შეიძლება საერთო ტრენინგპროგრამების შესადგენად. ასე მაგალითად, თუ თვითშეფასების, ან კოლეგის მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე გამოვლინდება, რომ ენის მასწავლებელს უჭირს ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა და მართვა (შდრ. **კატეგორია „ინტერაქტიული მართვა“**), თქვენ შეძლებთ დაეხმაროთ მას, დაუგეგმავთ რა შედარებით გამოცდილი კოლეგის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დასწრება-დაკვირვებას შემდგომი გასაუბრების ფაზით და/ან ურჩევთ შესაბამის დარგობრივ ლიტერატურას. ან თუ დაინახავთ, რომ ენის მასწავლებელთა უმეტესობას უჭირს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი უნარ-ჩვევების შეფასებისას ესჩ-ს კრიტერიუმების გამოყენება (შდრ. **კატეგორია „შეფასება“**), შეგიძლიათ დაგეგმოთ ტრენინგაქტივობები, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ესჩ-ს სტანდარტების ანალიზი, მეცადინეობების ვიდეოჩანაწერების განხილვა ან წერითი ნაშრომების პრაქტიკული გასწორება-შეფასება.

სასწავლო პროგრამების შედგენა მომავალი მასწავლებლებისათვის (პრესერვისი)

ეპბ-ს კატეგორიებმა და დესკრიპტორებმა შესაძლოა მოახდინონ კონკრეტული სასწავლო პროგრამების ან კურიკულუმების შექმნის სტიმულირება. ასე მაგალითად, **კატეგორიის „შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა“** გაცნობამ შეიძლება განაპირობოს კურიკულუმში პრაქტიკის კომპონენტისთვის (კურატორის/მენტორის თანდასწრებით ჩატარებული და შეფასებული გაკვეთილები) წინასწარ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის გაზრდა. კატეგორიები „ინტერკულტურული კომუნიკაცია“ და „ციფრული და მედიაწიგნიერება“ შესაძლოა იქცნენ საგანმანათლებლო პროცესში ამ კომპეტენციების სისტემატიურ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების ინტეგრირების იმპულსად. და ბოლოს, **ეპბ-ს** შეუძლია ხელი შეუწყოს თვითშეფასების კულტურის ამაღლებას, თავიდანვე მოხდება რა მომავალი მასწავლებლების მოტივირება, გამოიყენონ პროფილთა ბადე რეფლექსიის ინსტრუმენტად და საკუთარი პროფესიული განვითარების დასაგეგმად.

სპეციალური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა

ეპბ-ს გამოყენებით ინსტიტუტში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი კონცენტრირებას ახდენს თითოეული მასწავლებლის ძლიერ მხარეებზე. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს განსაკუთრებით აინტერესებს მეთოდიკა-დიდაქტიკა ან ენის შესწავლის თეორიების (შდრ. **კატეგორია „მეთოდიკა-დიდაქტიკა“**), შეგიძლიათ სთხოვოთ მას, მოახდინოს ამ სფეროების თემატიზაცია კონკრეტულ ტრენინგმოდულებში და ჩაუტაროს კოლეგებს ტრენინგი. ასევე შეგიძლიათ ურჩიოთ მაგისტრატურაში ჩაბარება, რათა უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს მისთვის საინტერესო მიმართულება. ან თუკი აღმოაჩენთ, რომ ერთ-ერთ მასწავლებელს განსაკუთრებით კარგად გამოსდის ენობრივი სტრუქტურების ახსნა ან მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენების, სწორი კონტექსტუალიზაციის მაგალითების მიწოდება (შდრ. **კატეგორია „ენობრივი ცნობიერება“**) ან წერით ნაშრომებში სხვადასხვა ტიპის შეცდომების კოდირებისთვის პროფესიულ დონეზე იყენებს კორექტირების სიმბოლოებს (შდრ. **კატეგორია „შეფასება“**), შეგიძლიათ შესთავაზოთ თქვენს ინსტიტუტში ამ კომპეტენციების განმავითარებელი ვორკშოპების ან ტრენინგების ჩატარება. და ბოლოს, თუკი რომელიმე მასწავლებელი განსაკუთრებით კომპეტენტურია მედიასაშუალებების გამოყენების კუთხით (შდრ. **კატეგორია „ციფრული და მედიაწიგნიერება“**), შეგიძლიათ სთხოვოთ დაინტერესებული მასწავლებლებისათვის ონლაინ-ჯგუფის შექმნა და ადმინისტრირება. ამგვარად, ზოგიერთი ენის მასწავლებელი ეტაპობრივად ჩამოყალიბდება ტრენერად,

ფაზა 3.2-ში გაწერილი კომპეტენციების შესაბამისად.

ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირების მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ეპზ-ს სისტემატიური გამოყენება ინსტიტუტში პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს/ტრენერს შესაძლებლობას მისცემს დაეხმაროს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ახალი კადრების შერჩევასთან და პედაგოგიური კორპუსის პროფესიული განვითარების ღონისძიებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. პროფილთა ბადის მონაცემების გამოყენება შეიძლება აპლიკანტების შერჩევის პროცესში, ასევე ახალი და გამოცდილი პედაგოგიური კადრების საქმიანობაზე დაკვირვებისას, რათა ენის მასწავლებლების და მთლიანად ინსტიტუტის შემდგომი განვითარების დაგეგმვისას ჯეროვანი სახით მოხდეს სასწავლო კომპონენტის შესაბამისი ასპექტების გათვალისწინება.

მოხმარების ინსტრუქცია ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირებისათვის

თქვენ ხელმძღვანელობთ ენის ინსტიტუტს და გევალებათ ახალი თანამშრომლების მიღება და უკვე არსებული პედაგოგიური კორპუსის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. თქვენ მჭიდროდ თანამშრომლობთ პიროვნებასთან, რომელიც თქვენს ინსტიტუტში პროფესიულ განვითარებაზე აგებს პასუხს. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტუაცია, რომლებშიც შეძლებთ პროფილთა ბადის გამოყენებას, რათა სწრაფად მიიღოთ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ახალი მასწავლებლის მიღება

თქვენ გჭირდებათ დასანიშნი მასწავლებლის პროფილის დადგენა. ამასთანავე, გსურთ ენის ცოდნის კონკრეტული დონის, კონკრეტული მეთოდური კომპეტენციისა და შესაბამისი პროფესიული გამოცდილების გათვალისწინება (შდრ. კატეგორიები „ენის ცოდნა/ენობრივი კომპეტენცია“, „პედაგოგიური გამოცდილება“, „საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები“). ეპბ დაგეხმარებათ თქვენი ინსტიტუტისთვის მოცემულ მომენტში საჭირო პროფესიული გამოცდილებისა და კომპეტენციების აღწერაში. ამას გარდა, ეპბ საშუალებას მოგცემთ ჩამოაყალიბოთ დამატებითი კითხვები წინასწარი შერჩევისთვის და კონკურსანტებთან გასაუბრებისთვის.

დაბალანსებული, მრავალმხრივი პედაგოგიური კორპუსის შექმნა

თქვენი ინსტიტუტის მასწავლებლების კომპეტენციების უფრო გამრავალფეროვნებისა და დაბალანსების მიზნით, რათა თქვენმა ინსტიტუტმა უკეთ შეძლოს კლიენტების/სამიზნე ჯგუფების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე რეაგირება, გსურთ ინსტიტუტის მასწავლებელთა გუნდის საერთო პროფილის შექმნა. ეპბ-ს ან ეპბ-დიჯიტალის დახმარებით შეგიძლიათ თქვენი თითოეული ენის მასწავლებლის კომპეტენციათა პროფილის მიღება. თუკი შემდგომ დააპირებთ ეპბ-დიჯიტალის საშუალებით ცალკეული პროფილების ჯგუფურ პროფილად შეკვრას, მიიღებთ თქვენი პედაგოგიური კოლექტივის პროფილის ძალზე ინფორმაციულ გრაფიკულ გამოსახულებას. ამით შეიქმნით კარგ საფუძველს პედაგოგთა კორპუსის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის საჭირო რესურსების დასაგეგმად, მასწავლებლებისთვის ახალი პასუხისმგებლობების დასაკისრებლად ან ახალი პედაგოგიური კადრების მოსაზიდად, რომელთა კომპეტენციებიც არსებული ხარვეზების აღმოფხვრაში დაგეხმარებათ.

მეცადინეოების ხარისხის შეფასება და ბენჩმარკინგი

გსურთ უცხოური ენების სწავლების ხარისხის სტანდარტების შესახებ ცოდნის აქტუალიზაცია და თქვენი ინსტიტუტის ხარისხის განვითარების პროცედურების დახვეწა. ამ შემთხვევაში მოგიწევთ მასწავლებელთა გუნდის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების (შდრ. კატეგორია „მეცადინეობის და სასწავლო კურსის დაგეგმვა“, „შეფასება“) შედარება სხვა ენის ინსტიტუტების პედაგოგიური კორპუსის კვალიფიკაციასთან. ამ შემთხვევაში კომპეტენციების აღწერილობების მართვა ეფექტიანად შეგიძლიათ ეპბ-ს საშუალებით. (შდრ. კატეგორიები „საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები“, „გამჭოლი კომპეტენციები“). ამისათვის საჭიროა, რომ თქვენ და თქვენი მასწავლებელთა გუნდი სიღრმისეულად გაეცნოთ ეპბ-ს კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებში გაწერილ სტანდარტებსა და დესკრიპტორებს. მოცემული ზოგადი სტანდარტები შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ნიმუში, თუმცა ისინი, შესაძლოა, თქვენი *ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის*

კოლექტივის უნიკალური მახასიათებლების აღმოჩენაშიც კი დაგეხმარონ.

დახმარება მასწავლებლების შეფასებაში

ეკბ-ს გამოყენება თვითშეფასების და კოლეგების შეფასებისთვის, რა თქმა უნდა, ვერ ჩაანაცვლებს თქვენს მიერ პედაგოგიური კორპუსის ძირითადი კომპეტენციების შეფასების კუთხით განხორციელებულ აქტივობებს. თუმცა ეკბ დაგეხმარებათ ამ შეფასების ეფექტიანად განხორციელებაში. ასე მაგალითად, თქვენ შეძლებთ შეადაროთ თანამშრომლების თვითშეფასებები პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების და თქვენს მიერ გაკეთებული შეფასების შედეგებს. პოზიციების საბოლოო შეჯერება გააიოლებს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების, ტრენინგების და ა. შ. ერთობლივად დაგეგმვის პროცესს.

შეფასებისას შესაძლებელია გამოიკვეთოს კომპეტენციათა სფეროები, რომლებსაც თქვენი ინსტიტუტის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. მაგალითად, თუ მოულოდნელად მოგიჩვეთ მეცადინეობების ჩატარება ჰეტეროგენული ჯგუფებისთვის (სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, ზოგადი და პედაგოგიური კულტურის წარმომადგენლები). ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება აქცენტის აღება არა მთელ პროფილთა ბადეზე, არამედ ეკბ-ს მხოლოდ ერთ **კატეგორიაზე** - **„ინტერკულტურული კომპეტენცია“**. თქვენი ინსტიტუტის საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიზანშეწონილი აღმოჩნდეს, შეფასებებისას ახალი ქვეკატეგორიის ან დესკრიპტორების დამატება (რომლებიც, მაგალითად, ორიენტირებული იქნება უმცროს ასაკობრივ ჯგუფებთან ან კორპორაციულ კლიენტებთან მუშაობისას მოთხოვნად სოციალურ თუ ინტერპერსონალურ კომპეტენციებზე ან განსაკუთრებულ უნარებზე).

სპეციფიკური კურსებისთვის შესაბამისი მასწავლებლების შერჩევა

კორპორაციული კლიენტის/ფირმის თანამშრომლებისთვის კურსის ჩასატარებლად დაგვალეს განსაკუთრებული პროფილის მქონე მასწავლებლის შერჩევა. კანდიდატს უნდა ჰქონდეს ენის კურსის დარგობრივ (მაგ. ბიზნესი) კონტექსტზე ორიენტაციით დაგეგმვის უნარი (შდრ. კატეგორია **„მეცადინეობის და სასწავლო კურსის დაგეგმვა“**). ან, კომპიუტერული ფირმის შემთხვევაში, უნდა ფლობდეს განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარებს ციფრულ მედიასთან ურთიერთობის კუთხით (შდრ. კატეგორია **„ციფრული და მედიაწიგნიერება“**). ეკბ-ს დახმარებით შეძლებთ თქვენი პედაგოგიური გუნდის წევრების ინდივიდუალური პროფილების შეფასებას, მათ შორის ხსენებული მიმართულებებითაც; შეძლებთ გაესაუბროთ თქვენს ინსტიტუტში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე/ტრენინგებზე პასუხისმგებელ პირს და ამის შემდგომ მიიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილება, თუ ვის დაავალებთ ამ აქტივობის განხორციელებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესის ხელშეწყობა

თქვენ ყოველწლიურად გეგმავთ ბიუჯეტს თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებისთვის და გსურთ, რომ თქვენი პედაგოგიური კორპუსის პროფესიულ განვითარებას მუდმივი ხასიათი ჰქონდეს. თქვენ საზღვრავთ არა მარტო მთელი ინსტიტუტის, არამედ თითოეული პედაგოგის საჭიროებებს. ეკბ-ს თვითშეფასების საშუალებით შექმნილი ინდივიდუალური პროფილები წარმოაჩენენ მასწავლებლების როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ **კატეგორიებს „კვალიფიკაცია/გამოცდილება“** და **„პროფესიონალიზაცია“**. ჩახედეთ მასწავლებელთა თვითშეფასების შედეგებს და **ვერობული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის**

გასაუბრეთ მასწავლებლებს. შეეკითხეთ, თუ რა ტრენინგებში სურთ მონაწილეობის მიღება, სად ხედავენ ნაკლოვანებების გამოსწორების საჭიროებას, ან რა გეგმები აქვთ სამომავლოდ. ამგვარი, ეპზ-ზე დაყრდნობით წარმართული გასაუბრება დაგეხმარებათ მასწავლებლებისთვის იმგვარი კონსულტაციის გაწევაში, რომელიც მათ საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარებათ; მაგალითად, სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ან პროფესიული განვითარების სასერტიფიკაციო კურსებზე დასწრება, სპეციალურ ტრენინგებში ან ეროვნულ და საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

დანართი

ხშირად დასმული კითხვები

რა განსხვავებაა ენობრივ კომპეტენციასა და ენობრივ ცნობიერებას შორის? ენობრივი კომპეტენცია აღწერს იმ დონეს, რომელსაც შეესაბამება სამიზნე ენის ცოდნა და ენის გამოყენების უნარი; ენობრივი ცნობიერება მოიცავს ცოდნას ენის, ენის სტრუქტურისა და მისი გამოყენების, კომუნიკაციური ფუნქციის და ა. შ. შესახებ (შდრ. გლოსარიუმი, „ენობრივი ცნობიერება“).

რისთვის მჭირდება ენობრივი ცნობიერება, თუ დაუბრკოლებლად ვლაპარაკობ და ვწერ სამიზნე ენაზე? ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს სწავლების და სწავლის მიზნით ენობრივი ფენომენების A1 – C2 დონეების შესაბამისი შერჩევის, ანალიზისა და ახსნა-განმარტების საფუძველს.

შესაძლებელია თუ არა, დამოუკიდებლად მივაღწიო განათლება/კვალიფიკაციის კატეგორიის 3.1/3.2 დონეს, თუ მაქვს მაგისტრის ხარისხი გერმანისტიკის ან გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალიზაციით, თუმცა არ მაქვს გავლილი უცხოური ენის სწავლების მოდული? როგორც ეკბ-ს აღწერილობით ნაწილშიცაა მითითებული, ეკბ-ს ამ ფაზასთან შესაბამისობისთვის მნიშვნელოვანია უცხოური ენის სწავლების სპეციალობის ან მოდულის დასრულება, რომელიც, სავალდებულო სახით უნდა მოიცავდეს შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტს. ალტერნატივას შეიძლება წარმოადგენდეს აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატი უცხოური ენის სწავლების სფეროში.

უნივერსიტეტში ვსწავლობდი მეთოდო-დოქტორის, ასევე გავიარეთ პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც დოკუმენტურად არ შეფასებულა - უკუკავშირი მხოლოდ ზეპირ ხასიათს ატარებდა. მეთვლება თუ არა ხსენებული აქტივობა პედაგოგიურ გამოცდილებად? თუ ხსენებული პედაგოგიური პრაქტიკა მეთოდო-დოქტორის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა და თქვენ მიიღეთ დოკუმენტური უკუკავშირი, მაშინ ეს აქტივობა გეთვლებათ შეფასებულ პედაგოგიურ პრაქტიკად.

ჩემს სკოლაში გაკვეთილებზე დაკვირვება არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს, ასევე არ გვყავს თანამშრომელი, რომელიც ჩვენს პროფესიულ განვითარებაზე აგებს პასუხს. როგორ უნდა მივიღო დოკუმენტური უკუკავშირი ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილების შესახებ? თქვენს მეცადინეობებს უნდა დაესწროს ტრენერი (ტრენერი-მასწავლებელი) ან თქვენი სკოლის გამოცდილი მასწავლებელი. თუკი გაკვეთილებზე დაკვირვების პრაქტიკა არსებობს, მაშინაც კი, თუ ის სისტემატიურ ხასიათს არ ატარებს, შეგიძლიათ დოკუმენტური უკუკავშირი/შეფასება მოსთხოვოთ იმ კოლეგას, ვინც თქვენს გაკვეთილს დაესწრება.

შეიძლება თუ არა 3.1 ფაზის მიღწევა, თუ გაკვეთილებს მხოლოდ ბავშვებს ვუტარებდი? გამოდის, რომ მე არ ვასწავლიდი ოთხ განსხვავებულ კონტექსტში? განსხვავებულ კონტექსტად შეგიძლიათ ჩათვალოთ თქვენი პროფესიული კარიერის მანძილზე მიღებული ყველა განსხვავებული სახის გამოცდილება. მაგალითად, მუშაობა საჯარო და კერძო სკოლებში; ინტენსიური, ნახევრადინტენსიური და სტანდარტული კურსების დაგეგმვა და ჩატარება; მუშაობა განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებთან ან ინდივიდუალური მეცადინეობები და ა. შ. (იხ. გლოსარიუმი, „კონტექსტი“).

ვარ საკმაოდ გამოცდილი პედაგოგი და ვამჩნევ, რომ მზად ვარ, ავიღო მეტი პასუხისმგებლობა და განვითარდე 3.2 მიმართულებით. როგორ შემიძლია ამის გაკეთება? დაუკავშირდით თქვენი ინსტიტუტის თანამშრომელს, რომელიც პროფესიულ განვითარებაზე ან კადრების განაწილებაზე აგებს პასუხს და ერთად განიხილეთ, თუ რა ტიპის ახალი ფუნქცია-მოვალეობები შეგიძლიათ იკისროთ, როგორ შეგიძლიათ გაუწიოთ კურატორობა ნაკლებად გამოცდილ კოლეგებს ან რა ფორმით შეგიძლიათ დაგეგმოთ და ჩაატაროთ ტრენინგაქტივობები - ვორკშოპები ან სემინარები.

კატეგორიაში რამდენ დესკრიპტორს უნდა გავცე დადებითი პასუხი, რათა ფაზა მიღწეულად ჩამეთვალოს? ეპზ კომპეტენციებს რიცხვობრივად არ ასახავს. ამ ინსტრუმენტით მუშაობის მიზანია, რომ შეძლოთ თქვენი კომპეტენციების გაცნობიერება და იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართულებებით გჭირდებათ დამატებითი მუშაობა. ეპზ-ს გამოყენებით შეგიძლიათ დაინახოთ, თუ პროფესიული განვითარების რა ეტაპზე იმყოფებით. თქვენ შეგიძლიათ საკუთარ თავს მუდმივად დააკვირდეთ და შეაფასოთ, რათა შეძლოთ თქვენი წინსვლისთვის და პროფესიული განვითარებისათვის თვალის გადევნება. გადახაზეთ/დადებითი პასუხი გაეცით მხოლოდ იმ დესკრიპტორებს, რომლებიც შეესაბამებიან თქვენს კომპეტენციებს.

რამდენად ლოგიკურია, თუ ზოგიერთ კატეგორიაში ჩემი კომპეტენციები შეესაბამება ფაზას 3.2 (მაგალითად, განათლება/კვალიფიკაცია), ზოგში კი მხოლოდ 2.2-ს (მაგალითად, ციფრული და მედიაწიგნიერება)? სრულიად ნორმალურია, რომ ენის მასწავლებლებს სხვადასხვა კატეგორიებში სხვადასხვა კომპეტენციები, ანუ არასწორხაზოვანი პროფილი ჰქონდეთ.

შეუძლია თუ არა არამშობლიურენოვანს ქვეკატეგორიაში „ენის ფლობა“ მიაღწიოს 3.2 დონეს? შეუძლია, თუკი შეძლებს სამიზნე ენის მშობლიურ ენაზე ფლობის დონის მიღწევას (მაგალითად, თუ რამდენიმე წელი ცხოვრობდა ან სწავლობდა სამიზნე ენის ქვეყანაში), ან თუ წარმატებით ჩააბარებს C2 დონის გამოცდას, რითიც დადასტურდება, რომ სამიზნე ენას ბუნებრივად იყენებს.

რელევანტურია თუ არა ჩემთვის ქვეკატეგორია „ინტერკულტურული კომპეტენცია“, თუ მხოლოდ ერთენოვან სასწავლო ჯგუფებთან მიწევს მუშაობა და უცხოეთში მულტიკულტურული ჯგუფების სწავლების გამოცდილება არ მაქვს? დიახ, ინტერკულტურული ცნობიერების განვითარება და კულტურულად მგრძნობიარე თემების პროგნოზირება მნიშვნელოვანია მათთან გასამკლავებლად; მაშინაც კი, თუ ამგვარი გამოცდილება აქამდე არ დაგჭირვებიათ. გარდა ამისა, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ თქვენი კარიერის განმავლობაში, თქვენს კლასში ერთხელ მაინც აღმოჩნდებიან სრულიად განსხვავებული ეთნიკური ან რელიგიური ფონის მქონე მოსწავლეები. ხსენებული კომპეტენცია ასევე დაგჭირდება ზრდასრულთათვის მეცადინეობების ჩატარების დროს, რომლებიც უცხოურ ფირმებში აპირებენ მუშაობას - თქვენ მოგიწევთ სასწავლო მასალების მოძიება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება მოცემული სამიზნე ჯგუფის კულტურულ კონტექსტთან. ასევე დაგჭირდებათ სოციალური და კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზის და დისკუსიაში განხილვის უნარის გამოიმუშავება. ამას გარდა, შესაძლებელია, რომ თქვენს ინსტიტუტში დასაქმდნენ სხვა კულტურული ფონის და ეროვნების მასწავლებლები, რომლებსაც თქვენი მხარდაჭერა/კონსულტაცია დასჭირდებათ.

შემიძლია ეპზ გამოვიყენო დაკვირვების ანკეტის სახით, ჩემი კოლეგების მიერ ჩატარებულ ევროპული პროფილთა ბადე უცხოური ენების მასწავლებლებისათვის გვერდი 36

გაკვეთილებზე დაკვირვებისას? ეპზ არ მოიაზრება როგორც გაკვეთილზე დაკვირვების ინსტრუმენტი. თუმცა ცალკეული დესკრიპტორები შესაძლოა გამოდგეს გაკვეთილის ცალკეული ასპექტების ინდიკატორებად, მაგალითად, კატეგორიიდან „ინტერაქციის მართვა“.

ცარიელი პროფილთა ბადე თვითშეფასებისთვის და კოლეგათა შეფასებისთვის

მასწავლებლის სახელი, გვარი: თარიღი:

		ფაზა 1		ფაზა 2		ფაზა 3	
		1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
კვალიფიკაცია / გამოცდილება	ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია						
	განათლება/ კვალიფიკაცია						
	შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა						
	პედაგოგიური გამოცდილება						

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები	მეთოდოკა- დიდაქტიკა						
	მეცადინეობისა და სასწავლო კურსის დაგეგმვა						
	ინტერაქციის მართვა						
	შეფასება						

გამჭოლი კომპეტენციები	ინტერკულტურული კომპეტენცია						
	ენის გაცნობიერება						
	ციფრული და მედიაწიგნიერება						

პროფესიონალ იზაცია	პროფესიული განვითარება						
	ადმინისტრირება						

პროფილის ნიმუში

მასწავლებლის სახელი, გვარი:

თარიღი:

მასწავლებელი A		ფაზა 1		ფაზა 2		ფაზა 3	
		1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
კვალიფიკაცია / გამოცდილება	ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია						
	განათლება/ კვალიფიკაცია						
	შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა						
	პედაგოგიური გამოცდილება						

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები	მეთოდო- დიდაქტიკა						
	მეცადინეობისა და სასწავლო კურსის დაგეგმვა						
	ინტერაქციის მართვა						
	შეფასება						

გამჭოლი კომპეტენციები	ინტერკულტურული კომპეტენცია						
	ენის გაცნობიერება						
	ციფრული და მედიაწიგნიერება						

პროფესიონალ იზაცია	პროფესიული განვითარება						
	ადმინისტრირება						

პროფილის ნიმუში

მასწავლებლის სახელი, გვარი:

თარიღი:

მასწავლებელი B		ფაზა 1		ფაზა 2		ფაზა 3	
		1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
კვალიფიკაცია / გამოცდილება	ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია						
	განათლება/ კვალიფიკაცია						
	შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა						
	პედაგოგიური გამოცდილება						

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები	მეთოდოლოგია- დიდაქტიკა						
	მეცადინეობისა და სასწავლო კურსის დაგეგმვა						
	ინტერაქციის მართვა						
	შეფასება						

გამჭოლი კომპეტენციები	ინტერკულტურული კომპეტენცია						
	ენის გაცნობიერება						
	ციფრული და მედიაწიგნიერება						

პროფესიონალ იზაცია	პროფესიული განვითარება						
	ადმინისტრირება						

პროფილის ნიმუში

მასწავლებლის სახელი, გვარი:

თარიღი:

მასწავლებელი C		ფაზა 1		ფაზა 2		ფაზა 3	
		1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
კვალიფიკაცია / გამოცდილება	ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია						
	განათლება/ კვალიფიკაცია						
	შეფასებული პედაგოგიური პრაქტიკა						
	პედაგოგიური გამოცდილება						

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები	მეთოდოკა- დიდაქტიკა						
	მეცადინეობისა და სასწავლო კურსის დაგეგმვა						
	ინტერაქციის მართვა						
	შეფასება						

გამჭოლი კომპეტენციები	ინტერკულტურული კომპეტენცია						
	ენის გაცნობიერება						
	ციფრული და მედიაწიგნიერება						

პროფესიონალ იზაცია	პროფესიული განვითარება						
	ადმინისტრირება						

პროფილთა ბადის ინტერაქტიული ვერსიის, ეპბ-დიჯიტალის გამოყენება

ეპბ-ს ელექტრონული ვერსია, ეპბ-დიჯიტალი წარმოადგენს ინტერაქტიულ ონლაინ-შემოთავაზებას, რომელიც ხელმისაწვდომია ოთხ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ესპანური), ვებ-გვერდზე <http://egrid.epg-project.eu/de>. ამ ინტერაქტიული ვერსიის შექმნის მიზანი იყო, რომ უფრო მეტ მომხმარებელს ჰქონოდა წვდომა ეპბ-სთან და გაუმჯობესებულიყო მისი ფუნქციონალობა.

1. მთავარ გვერდზე (<http://egrid.epg-project.eu/de>) მომხმარებლებს შეუძლიათ:

- ა) ველზე **"Zum EPR-digital"** დაწკაპუნების შემთხვევაში ეპბ-ს კომპეტენციათა სფეროების მიხედვით განაწილებული შინაარსების გაცნობა ცხრა სხვადასხვა ენაზე. პროფილთა ბადის ელექტრონულ ვერსიაში ინტეგრირებულია გლოსარიუმი. ცნებები, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდნენ განმარტებას, ბმულის სახით, მწვანე შრიფტითაა შესრულებული და მათთან კურსორის მიყვანისას, დამატებითი გვერდის გახსნის გარეშე, ავტომატურად ჩნდება ცნების დეფინიცია;
- ბ) მთლიანი პროფილთა ბადის PDF-ფაილის სახით ჩამოტვირთვა, გლოსართან ერთად, ან მის გარეშე;
- გ) მოხმარების ინსტრუქციის ჩამოტვირთვა.

ეკრანის მარცხენა ზედა კუთხეში ლოგოზე  დაწკაპუნებით ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაუბრუნდეთ მთავარ გვერდს.

2. მთავარი გვერდის ქვედა ნაწილში განლაგებულია სამი მოზრდილი ველი:

- ველი **"Lehrer"** („მასწავლებელი“) მასწავლებლებს საკუთარი კომპეტენციების დამოუკიდებლად შეფასების საშუალებას აძლევს;
- ველი **"Aus- und Fortbilder"** („პედაგოგი/ტრენერი“) განათლების და პროფესიული განვითარებისთვის პასუხისმეგებ პირებს დაეხმარება იმ მასწავლებლების კომპეტენციების შეფასებაში, რომლებთანაც მათ მოუწევთ მუშაობა;
- ველი **"Manager"** („მენეჯერი“) ენის ინსტიტუტების პედაგოგიური მიმართულებების ხელმძღვანელებს დაეხმარება მათი პედაგოგიური კორპუსის პროფესიული განვითარების პროცესების მონიტორინგში ან ჯგუფური პროფილის შექმნაში.

სამიდან ერთ-ერთ ველზე დაწკაპუნებით გადახვალოთ გვერდზე, საიდანაც შეძლებთ აირჩიოთ: „ახალი პროფილის შექმნა“ (**"Ein neues Profil starten"**) ან „არსებული პროფილის

იმპორტი ("Ein bestehendes Profil importieren").

- ა) თუკი „ახალი პროფილის შექმნას“ აირჩევთ, სისტემა გაგიხსნით ონლაინ-ფორმულარს, სადაც უნდა შეიყვანოთ იმ მასწავლებლის პირადი მონაცემები, რომლის კომპეტენციების შეფასებასაც აპირებთ. თუ თქვენ მასწავლებელი ხართ და თვითშეფასებას აკეთებთ, ასევე შეგიძლიათ საკუთარი ფოტოსურათის ატვირთვაც. თუ ტრენერი ან მენეჯერი ხართ და ახალი პროფილის შექმნას იწყებთ, მოგიწევთ თქვენ შესახებ გარკვეული მონაცემების შეყვანა. ვებგვერდი არ იმახსოვრებს და არ გადაამისამართებს თქვენს მიერ შეყვანილ ინფორმაციას: ყველა მონაცემის დამახსოვრება ხდება მხოლოდ და მხოლოდ თქვენს კომპიუტერში, ვიდრე თქვენი ვებ-ბრაუზერის დროებითი/ქეშ-ფაილების საცავს არ დააცარიებელბთ ან ეკრანის მარჯვენა ზედა კუთხეში, ველზე „ყველა ფაილის წაშლა“ (**"Löschen aller Daten"**) არ დააწკაპუნებთ. ეს ველი ყოველთვის აქტიურია, მაშინაც კი, როდესაც პროფილი შექმნის პროცესშია. თვითშეფასების ან კოლეგების შეფასების შედეგები ორ ფორმატში შეგიძლიათ დაიმახსოვროთ: PDF-ფორმატში ან .egrid-ფორმატში. .egrid-ფორმატი ნებისმიერ დროს გაძლევთ პროფილში ცვლილებების შეტანისა და მისი განახლების საშუალებას.
- ბ) თუ გასურთ უკვე არსებული, .egrid-ფორმატში შექმნილი პროფილის იმპორტირება, ეპბ-დიჯიტალის ვებ-აპლიკაციაში მის ატვირთამდე მოგიწევთ ამ ფაილის თქვენს კომპიუტერში მოძებნა. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ .egrid-ფაილად შენახულ პროფილზე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ ხსენებულ ვებ-აპლიკაციაში ატვირთვის შემდეგ.

ხართ მასწავლებელი და გასურთ თვითშეფასების განხორციელება:

- ა) მას შემდეგ, რაც ონლაინ-ფორმულარში შეიყვანთ საჭირო მონაცემებს თქვენსა და თქვენი ინსტიტუტის შესახებ (მხოლოდ ფიფქით მარკირებული ველების შევსებაა სავალდებულო) და დააწკაპუნებთ ველზე „დადასტურება და გაგრძელება“ (**"Bestätigen und weiter"**), სისტემა გადაგიყვანთ პროფილთა ბადის იმ ვერსიაზე, რომელშიც ცალკეული კატეგორიების მიხედვით (მაგ. „მეცადინეობის და სასწავლო კურსის დაგეგმვა“) დესკრიპტორიდან დესკრიპტორამდე და, ამგვარად, ფაზიდან ფაზამდე შეგიძლიათ იმოძრაოთ, ვიდრე არ აღმოაჩენთ თქვენი კომპეტენციების შესაბამის დესკრიპტორს, რომელსაც დაწკაპუნებით ამოარჩევთ. არჩეული დესკრიპტორის შესაბამისი ფაზა ეკრანის მარჯვენა მხარეს, შეჯამებაში აისახება.
- ბ) შეჯამებაში კატეგორიის ველზე ერთი დაწკაპუნებით ყოველთვის შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თითოეულ კატეგორიას პროფილის შეცვლის მიზნით, თუკი ჩათვლით, რომ ზედმეტად მკაცრად ან რბილად შეაფასეთ საკუთარი თავი. ასევე შეგიძლიათ გადაახტეთ ცალკეულ კატეგორიებს ან მათი დამუშავება მომავლისთვის გადადოთ, თუ ისინი მოცემულ მომენტში არარელევანტურად გესახებათ. ამის გაკეთება მარტივად შეგიძლიათ ველზე „ნაბიჯის გამოტოვება“ (**"Diesen Schritt überspringen"**) დაწკაპუნებით.

გ) მას შემდეგ, რაც საკუთარ თავს ყველა სასურველი კატეგორიის მიხედვით შეაფასებთ, შეგიძლიათ დააწკაპუნოთ ველზე „შედეგები“, რის შემდეგაც დაინახავთ თქვენი კომპეტენციათა პროფილის დიაგრამის ფორმატში შესრულებულ, შეჯერებულ ვარიანტს. მასში დაფიქსირებული იქნება თქვენი სახელი და გვარი და პირადი მონაცემები, ასევე, ატვირთვის შემთხვევაში, თქვენი ფოტოსურათიც. მოცემული დოკუმენტის დამახსოვრება შეგიძლია PDF-ფორმატში ან .egrid-ფაილის სახით. თუკი მომავალში თქვენი პროფილის შეცვლას ან დამუშავებას გეგმავთ, უკეთესი იქნება, თუ .egrid-ფორმატს მიანიჭებთ უპირატესობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც თქვენი მონაცემები და არც პროფილი არ ინახება ვებ-გვერდზე. ფაილებს იმახსოვრებს თქვენი ვებ-ბრაუზერი. თუკი მის წაშლას გადაწყვეტთ, არ დაგავიწყდეთ ველზე „ყველა ფაილის წაშლა“ დაწკაპუნება. PDF ან .egrid-ფაილის სახით დამახსოვრებული პროფილი შეგიძლიათ ელ-ფოსტის საშუალებით გადაუზღავნოთ საკუთარ თავს ან, მაგალითად, თქვენს კურატორს. შესაძლებელია ასევე პროფილის ამობეჭდვაც.

ხართ მასწავლებელი და გსურთ ადრე შექმნილი თვითშეფასების დამუშავება:

- ა) მას შემდეგ, რაც თქვენს .egrid-ფორმატში შესრულებულ პროფილს სისტემაში ატვირთავთ, დაინახავთ დიაგრამის ფორმატში შეჯერებულ დოკუმენტს, რომელშიც თქვენი პირადი მონაცემები და კომპეტენციები იქნება ასახული. თუკი თქვენი თვითშეფასების შეცვლას გადაწყვეტთ - მაგალითისთვის, რადგან გაიარეთ ტრენინგები კონკრეტული კომპეტენციების გასაუმჯობესებლად, დაგჭირდებათ მხოლოდ ეკრანის მარჯვენა მხარეს, შესაბამის კატეგორიაზე დაწკაპუნება და სხვა დესკრიპტორის არჩევა.
- ბ) მას შემდეგ, რაც დააწკაპუნებთ ველზე „დადასტურება და გაგრძელება“, სისტემა დაიმახსოვრებს უკვე შეცვლილ თვითშეფასებას, ხოლო ახალი კომპეტენციები აისახება შეჯამებაში, ეკრანის მარჯვენა მხარეს. ახალი ფაილების გაგზავნა და ბეჭდვა ასევე ჩვეულებრივად შესაძლებელია.

ხართ კურატორი/ტრენერი/მენტორი და გსურთ მასწავლებლის, დასატრენინგებელი პირის ან თქვენი მაძიებლის კომპეტენციების შეფასება:

- ა) თავდაპირველად ონლაინ-ფორმულარში უნდა შეიტანოთ მოთხოვნილი მონაცემები იმ პიროვნების შესახებ, რომლის პროფილის შედგენასაც აპირებთ ისევე, როგორც თქვენი სახელი და გვარი, ელ-ფოსტის მისამართი და პოზიცია.
- ბ) ამის შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ შეფასების პროცესი. შეგიძლიათ ცალკეულ კატეგორიებში, დესკრიპტორების და ფაზების მიხედვით იმოდროით როგორც წინ, ისე უკან მანამ, სანამ არ იპოვით შესაფასებელი პირისთვის შესაბამის დესკრიპტორს. ამ უკანასკნელს დაწკაპუნებით აირჩევთ. ველზე „ნაბიჯის გამოტოვება“ დაწკაპუნებით შეგიძლიათ გადაახტეთ კატეგორიებს, რომელთა გათვალისწინებაც შეფასების დროს არ გინდათ.
- გ) შეფასების დასრულებისთვის დააწკაპუნეთ ველზე „დადასტურება და გაგრძელება“,

რის შემდეგაც გაიხსნება შესაფასებელი პირის პროფილი შეჯამებული დიაგრამის ფორმატში. თუკი გადაწყვეტ, რომ მიმდინარე შეფასება არ შეესაბამება ყველა კატეგორიას, შეგიძლიათ ეკრანის მარჯვენა მხარეს, „შეჯამებაში“ დააწკაპუნოთ შესაბამის კატეგორიას და აირჩიოთ განსხვავებული დესკრიპტორი. ამგვარად შეძლებთ შეფასებაში ცვლილების შეტანას.

დ) როდესაც დაასრულებთ, შეგიძლიათ მიღებული შეფასება დაიმახსოვროთ PDF-ფორმატში ან .egrid-ფაილის სახით. .egrid-ფორმატის არჩევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ გეგმავთ ამ მონაცემების გამოყენებას - მაგალითად, შეუვსებლად დარჩენილ კატეგორიებში გეგმავთ შესაბამისი კომპეტენციების ასახვას მას შემდეგ, რაც გაესაუბრებით შესაფასებელ პიროვნებას. ასევე შეგიძლიათ მზა პროფილის ამობეჭდვა, ხელმოწერა და შესაბამისი მასწავლებლისთვის გადაცემა. ასევე შეგიძლიათ ამ დოკუმენტის ელ-ფოსტით, დანართში გადაგზავნა, რათა გასაუბრებისას თქვენც და მასწავლებელსაც ხელთ გქონდეთ მზა შეფასების ანკეტა. ფაილების წასაშლელად არ დაგავიწყდეთ ინტერნეტ-ბრაუზერში ველზე „ყველა ფაილის წაშლა“ დაწკაპუნება.

ე) მასწავლებლებთან/დასატრენინგებელ პირებთან გასაუბრებისას შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სხვის მიერ გაკეთებული შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების შედარება. შემაჯამებელი ინტერვიუ შეიძლება დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ რა მიმართულებით ხედავენ, ერთის მხრივ, მასწავლებლები, მეორე მხრივ კი ტრენერები/კურატორები/მენტორები პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გაკეთებულ შეფასებებში სად იჩენს ცდომილებები თავს. ძალზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რატომ განსხვავდება შეფასებები ერთმანეთისგან, რადგანაც როგორც მასწავლებლებს, ისე მათ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს, როგორც წესი, აქვთ მიდრეკილება, დააფიქსირონ გადაჭარბებულად მაღალი ან შეუსაბამოდ დაბალი (თვით)შეფასება. გასაუბრების შედეგად შესაძლოა ორივე მხარემ გადახედოს და განაახლოს საკუთარი შეფასებები.

ხართ კურატორი/ტრენერი/მენტორი და გსურთ ადრე შექმნილი პროფილის დამუშავება:

ა) ატვირთეთ სისტემაში თქვენი ან თქვენი კოლეგის მიერ .egrid-ფორმატში შექმნილი პროფილი.

ბ) გამოჩნდება სასურველი პროფილის შეჯამება, დიაგრამის ფორმატში ასახული პირადი მონაცემებით და კომპეტენციებით. უკვე შეგიძლიათ რიგ კომპეტენციებში ცვლილებების შეტანა, თუ, მაგალითად, გაკვეთილზე დაკვირვებისას განსხვავებული მონაცემები გამოიკვეთა ან გსურთ და უკვე შეგიძლიათ შეავსოთ ის კატეგორიები, რომლებიც მანამდე შეფასების გარეშე გქონდათ დატოვებული. ამისთვის საკმარისია ეკრანის მარჯვენა მხარეს შესაბამის კატეგორიაზე დაწკაპუნება და განსხვავებული დესკრიპტორის არჩევა.

ბ) მას შემდეგ, რაც ველზე „დადასტურება და გაგრძელება“ დააწკაპუნებთ, მოხდება განახლებული მონაცემების დამახსოვრება და ახალი კომპეტენციები აისახება ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულ შეჯამებაში. განახლებული შეფასება შეგიძლიათ

დაიმახსოვროთ PDF-ფორმატში ან .egrid-ფაილის სახით, გადაგზავნოთ ელ-ფოსტით, ან ამობეჭდოთ. ფაილების წასაშლელად არ დაგავიწყდეთ ინტერნეტ-ბრაუზერში ველზე „ყველა ფაილის წაშლა“ დაწკაპუნება.

ხართ ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სასწავლო/საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი ან მენეჯერი და გსურთ მასწავლებელთა გუნდის ერთ-ერთი წევრის კომპეტენციების შეფასება:

- ა) თავდაპირველად ონლაინ-ფორმულარში უნდა შეიტანოთ მოთხოვნილი მონაცემები იმ პიროვნების შესახებ, რომლის პროფილის შედგენესაც აპირებთ ისევე, როგორც თქვენი სახელი და გვარი, ელ-ფოსტის მისამართი და პოზიცია.
- ბ) ამის შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ შეფასების პროცესი. შეგიძლიათ ცალკეულ კატეგორიებში, დესკრიპტორებისა და ფაზების მიხედვით იმოძრაოთ როგორც წინ, ისე უკან მანამ, სანამ არ იპოვნით შესაფასებელი პირისთვის შესაბამის დესკრიპტორს. ამ უკანასკნელს დაწკაპუნებით აირჩევთ. ველზე „ნაბიჯის გამოტოვება“ დაწკაპუნებით შეგიძლიათ გადაახტეთ კატეგორიებს, რომელთა გათვალისწინებაც შეფასების დროს არ გინდათ.
- გ) შეფასების დასრულებისთვის დააწკაპუნეთ ველზე „დადასტურება და გაგრძელება“, რის შემდეგაც გაიხსნება შესაფასებელი პირის პროფილი შეჯამებული დიაგრამის ფორმატში. თუკი დაასკვნით, რომ მიმდინარე შეფასება არ შეესაბამება ყველა კატეგორიას, შეგიძლიათ ეკრანის მარჯვენა მხარეს, შეჯამებაში დააწკაპუნოთ შესაბამის კატეგორიას და აირჩიოთ განსხვავებული დესკრიპტორი. ამგვარად შეძლებთ შეფასებაში ცვლილების შეტანას.
- დ) როდესაც დაასრულებთ, შეგიძლიათ მიღებული შეფასება დაიმახსოვროთ PDF-ფორმატში ან .egrid-ფაილის სახით. .egrid-ფორმატის არჩევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ გეგმავთ ამ მონაცემების გამოყენებას - მაგალითად, შეუვსებლად დარჩენილ კატეგორიებში გეგმავთ შესაბამისი კომპეტენციების ასახვას მას შემდეგ, რაც გაესაუბრებით შესაფასებელ პიროვნებას. ასევე შეგიძლიათ მზა პროფილის ამობეჭდვა, ხელმოწერა, ბეჭდის დარტყმა და შესაბამისი მასწავლებლისთვის გადაცემა, ეს განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც პიროვნება, რომლის შეფასებაც გააკეთეთ, თქვენს ინსტიტუტს ტოვებს, ახალ სამსახურს ეძებს და სურს, მოცემული დოკუმენტი თან დაურთოს საკონკურსო დოკუმენტაციას. ასევე შეგიძლიათ ამ დოკუმენტის გადაგზავნა ელ-ფოსტით, დანართში, თუ მასწავლებელი აგრძელებს თქვენთან მუშაობას და გსურთ, რომ შემდგომი გასაუბრებებისას შეფასების ანკეტა ორივეს გქონდეთ ხელთ. ფაილების წასაშლელად არ დაგავიწყდეთ ინტერნეტ-ბრაუზერში ველზე „ყველა ფაილის წაშლა“ დაწკაპუნება.
- ე) მას შემდეგ, რაც ერთი მასწავლებლის შეფასებას დაასრულებთ, სხვა კოლეგის პროფილის შესაქმნელად შეგიძლიათ დააწკაპუნოთ შეჯამებული მონაცემების ზედა მარჯვენა კუთხეში ველზე „+ ახალი შეფასება“ („+ neue Einschätzung“). ყოველ ჯერზე გაიმეორეთ ზემოთ აღწერილი ნაბიჯები, ვიდრე არ შეაფასებთ ყველა იმ კოლეგას, ვისი პროფილის შექმნაც გსურთ.

ვ) ეპ-დიჯიტალის სასარგებლო მახასიათებელია ჯგუფური პროფილის შექმნის შესაძლებლობა - იქნება ეს მასწავლებელთა ერთი ჯგუფის ან მთელი პედაგოგიური კორპუსის პროფილი. ამ შემთხვევაში დააწკაპუნეთ ველზე „შედეგები“ ("Ergebnisse"), რომელიც სულ ბოლოს შექმნილი პროფილის შეჯამების თავზე გამოჩნდება. შეგიძლიათ აირჩიოთ გამოსახულების ორი ფორმატი: 1) შეჯამება მასწავლებლების მიხედვით, რომელშიც ყველა მასწავლებლის პროფილი ერთმანეთის გვერდიგვერდაა მოცემული და 2) შეჯამება კომპეტენციების მიხედვით, რომელიც აჩვენებს, თუ კომპეტენციების სფეროების მიხედვით როგორაა პოზიციონირებული თითოეული მასწავლებელი (იხ. გამოსახულება შემდეგ გვერდზე). ამგვარი ჯგუფური პროფილები სასარგებლო ინსტრუმენტია კონკრეტული ენობრივი კურსებისთვის შესაბამისი მასწავლებლების შესარჩევად ან გუნდში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ახალი პედაგოგიური კადრების მოსაზიდად.

ინსტიტუტი: ენის წარმოსახვითი სკოლა
მენეჯერი: პატრიკ სავარინი
თარიღი: 20 ნოემბერი 2013

შეჯამება: მასწავლებლების მიხედვით



ჟან დიუპონი



ჯულიანა ჰენრი



მარიანე მარტინი

კვალიფიკაცია/გამოცდილება

ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია	1.1
განათლება/კვალიფიკაცია	2.2
შეფასებული პედ. პრაქტიკა	3.2
პედაგოგიური გამოცდილება	1.2

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები

მეთოდოვ-დიდაქტიკა	2.2
შეფასება	3.1
მეცადინეობის და კურსის დაგეგმვა	2.2
ინტერაქციის მართვა	1.1

გამჭოლი კომპეტენციები

ინტერკულტურული კომპეტენცია	2.2
ენობრივი ცნობიერება	2.1
ციფრული და მედიაწიგნიერება	3.1

პროფესიონალიზაცია

პროფესიული განვითარება	2.2
ადმინისტრირება	1.2

კვალიფიკაცია/გამოცდილება

ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია	3.2
განათლება/კვალიფიკაცია	3.2
შეფასებული პედ. პრაქტიკა	1.1
პედაგოგიური გამოცდილება	3.2

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები

მეთოდოვ-დიდაქტიკა	3.1
შეფასება	1.2
მეცადინეობის და კურსის დაგეგმვა	2.2
ინტერაქციის მართვა	3.2

გამჭოლი კომპეტენციები

ინტერკულტურული კომპეტენცია	3.2
ენობრივი ცნობიერება	3.2
ციფრული და მედიაწიგნიერება	2.1

პროფესიონალიზაცია

პროფესიული განვითარება	2.2
ადმინისტრირება	2.1

კვალიფიკაცია/გამოცდილება

ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია	3.2
განათლება/კვალიფიკაცია	3.2
შეფასებული პედ. პრაქტიკა	3.1
პედაგოგიური გამოცდილება	2.2

საკვანძო პედაგოგიური კომპეტენციები

მეთოდოვ-დიდაქტიკა	3.1
შეფასება	2.1
მეცადინეობის და კურსის დაგეგმვა	1.1
ინტერაქციის მართვა	3.1

გამჭოლი კომპეტენციები

ინტერკულტურული კომპეტენცია	1.2
ენობრივი ცნობიერება	2.2
ციფრული და მედიაწიგნიერება	1.2

პროფესიონალიზაცია

პროფესიული განვითარება	3.1
ადმინისტრირება	3.2

შეჯამება: კომპეტენციების მიხედვით

	1.1	1.2	2.1	2.2	3.1	3.2
ენის ცოდნა და ენობრივი კომპეტენცია	ფ. დიუპონი					ჯ. ჰენრი / მ. მარტინი
განათლება/კვალიფიკაცია				ფ. დიუპონი		ჯ. ჰენრი / მ. მარტინი
შეფასებული პედ. პრაქტიკა	ჯ. ჰენრი				მ. მარტინი	ფ. დიუპონი
პედაგოგიური გამოცდილება		ფ. დიუპონი				ჯ. ჰენრი
მეთოდოვ-დიდაქტიკა				მ. მარტინი	ჯ. ჰენრი / მ. მარტინი	
შეფასება		ჯ. ჰენრი	მ. მარტინი		ფ. დიუპონი	
მეცადინეობის და სასწავლო კურსის დაგეგმვა	მ. მარტინი			ჯ. დიუპონი / ჯ. ჰენრი		
ინტერაქციის მართვა	ფ. დიუპონი				მ. მარტინი	ჯ. ჰენრი
ინტერკულტურული კომპეტენცია		მ. მარტინი		ფ. დიუპონი		ჯ. ჰენრი
ენობრივი ცნობიერება			ფ. დიუპონი	მ. მარტინი		ჯ. ჰენრი
ციფრული და მედიაწიგნიერება		მ. მარტინი	ჯ. ჰენრი		ფ. დიუპონი	
პროფესიული განვითარება				ფ. დიუპონი / ჯ. ჰენრი	მ. მარტინი	
ადმინისტრირება		ფ. დიუპონი	ჯ. ჰენრი			მ. მარტინი

ხართ ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სასწავლო/საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი ან მენეჯერი და გსურთ ადრე შექმნილი პროფილის დამუშავება:

- ა) ვებ-აპლიკაციაში ატვირთეთ მასწავლებლის .egrid-ფორმატში შექმნილი პროფილი.
- ბ) გამოჩნდება სასურველი პროფილის შეჯამება, დიაგრამის ფორმატში ასახული პირადი მონაცემებით და კომპეტენციებით. უკვე შეგიძლიათ რიგ კომპეტენციებში ცვლილებების შეტანა, თუ, მაგალითად, გაკვეთილზე დაკვირვებისას განსხვავებული მონაცემები გამოიკვეთა ან გსურთ და უკვე შეგიძლიათ შეავსოთ ის კატეგორიები, რომლებიც მანამდე შეფასების გარეშე გქონდათ დატოვებული. ამისთვის საკმარისია ეკრანის მარჯვენა მხარეს შესაბამის კატეგორიაზე დაწკაპუნება და განსხვავებული დესკრიპტორის არჩევა. ამის გაკეთებას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მუდმივად ესწრებით გაკვეთილებს და მასწავლებლებს შესაბამის უკუკავშირს აძლევთ. ანალოგიური დისკუსიები თვითშეფასებისა და კოლეგათა შეფასების შესახებ შესაძლოა ძალზე პროდუქტიული აღმოჩნდეს, მათ შორის მასწავლებელთა ინდივიდუალური პროფესიული განვითარების მიმართულებების დასაგეგმად.
- ბ) მას შემდეგ, რაც ველზე „დადასტურება და გაგრძელება“ დააწკაპუნებთ, მოხდება განახლებული მონაცემების დამახსოვრება და ახალი კომპეტენციები აისახება ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულ შეჯამებაში. განახლებული შეფასება შეგიძლიათ დაიმახსოვროთ PDF-ფორმატში ან .egrid-ფაილის სახით, გადაგზავნოთ ელ-ფოსტით, ან ამოზექდოთ. ფაილების წასაშლელად არ დაგავიწყდეთ ინტერნეტ-ბრაუზერში ველზე „ყველა ფაილის წაშლა“ დაწკაპუნება.

მადლობას ვუხდით:

პროექტის მთავარ პარტნიორებს:

[Centre International d'études pédagogiques \(CIEP\), Frankreich](#) (მენეჯმენტი და ინფორმაციის გავრცელება): Olivier Steffen, Pernelle Benoit, Jeanne Collin

[Evaluation & Accreditation of Quality in Language Services \(EAQUALS\), Vereinigtes Königreich](#) (პილოტირება): Richard Rossner, Brian North, Joanna Watson, Anna Andor

[British Council, Vereinigtes Königreich](#) (ხარისხის უზრუნველყოფა): Tim Phillips და Maggie Milne

[Instituto Cervantes, Spanien](#) (თარგმანი) Elena Verdía Lleó, Marta Higuera García, Conchi Rodrigo Somolinos, Margarita Hornillos Jerez, Àngels Ferrer Rovira

[Bulgarian Association for Quality Language Services \(OPTIMA\), Bulgarien](#) (შინაარსის შედგენა) Galyna Mateva, Daniela Rainova, Svetla Tashevska, Albena Vitanova

[Goethe-Institut e.V., Deutschland](#) (რეალიზაცია) Karin Ende, Imke Mohr, Rafael Deschka

პროექტის დამატებით პარტნიორებს:

[Center für berufsbezogene Sprachen \(CEBS\), Österreich](#): Helmut Renner [ELS-Bell Education Ltd \(ELS Bell\), Polen](#): Ludka Kotarska, Małgorzata Imbierowicz

[Università per Stranieri di Siena \(UNISTRASI\), Italien](#): Pierangela Diadori, Roberto Tomassetti

[Hogeschool van Amsterdam DOO \(HvA\), Niederlande](#): Aad Sinke

[Sabanci Üniversitesi \(SU\), Türkei](#): Deniz Kurtoglu-Eken

თარგმანზე პასუხისმგებელ პირებს:

	პროფილთა ბადე	სახელმძღვანელო	გლოსარიუმი	ეპ-დიჯიტალი
ბულგარული	Galyna Mateva Daniela Rainova, Svetla Tashevska, Albena Vitanova	Galyna Mateva Svetla Tashevska, Albena Vitanova		
ინგლისური				Tim Phillips, Phil White, Martin Heineberg
ფრანგული				
გერმანული	Imke Mohr, Rafael Deschka, Karin Ende	Imke Mohr, Rafael Deschka, Karin Ende	Imke Mohr, Rafael Deschka, Karin Ende	Imke Mohr, Rafael Deschka, Karin Ende
პოლონური	Ludka Kotarska, Małgorzata Imbierowicz			
ესპანური	Margarita Hornillos Jerez	Margarita Hornillos Jerez	Margarita Hornillos Jerez	Margarita Hornillos Jerez

	Elena Verdía Lleó Marta Higuera García Àngels Ferrer Rovira Conchi Rodrigo Somolinos Sonia Izquierdo Ramón	Elena Verdía Lleó	Elena Verdía Lleó Marta Higuera García Conchi Rodrigo Somolinos	Elena Verdía Lleó Juan Francisco Urbán Parra
თურქული	Deniz Kurtoglu-Eken			
ქართული	Erekle Chigogidze	Erekle Chigogidze	Erekle Chigogidze	

ინსტიტუტებს, რომლებიც პროექტის პარტნიორებთან ერთად ჩართულები იყვნენ პროფილთა ბადის საპილოტე ვერსიის აპრობაციაში

ავსტრია	Foreign Language Centre Graz; University of Vienna
ბოსნია და ჰერცეგოვინა	Anglia V, Bijeljina
ბულგარეთი	Avo-Bell, Sofia; British-Bulgarian Information and Language Centre, Sofia; Matevi Language Centre, Sofia; New Bulgarian University, Sofia
საფრანგეთი	Accent Français ; Alliance française de Lyon ; Alpha b ; Carel ; CIA d'Antibes ; French in Normandy ; IFALPES ; IS Aix en Provence ; Paris Langues ; Quai d'Orsay ; Université Blaise Pascal
გერმანია	Eurocentres Berlin; Ludwig-Maximilian-University, Munich; Friedrich-Schiller-University, Jena; University of Flensburg Foreign Languages Department; Georg-August University, Göttingen
ირლანდია	International House Dublin
იტალია	Torre di Babele; Università' Uptier
რუმინეთი	Institut Français de Roumanie
ესპანეთი	CLIC Sevilla; International House Madrid; Instituto Hemingway (Bilbao); Universidad Internacional Menéndez Pelayo; Inhispania; Alcelenguas; Esade language centre univ. Ramon Llull; Escuela Oficial de Idiomas Barcelona-Drassanes; Babylon Idiomas; Don Quijote Tenerife; Enforex Valencia; Fundación José Ortega y Gasset;; Universidad de Las Palmas de Gran Canaria; Universidad de Vigo - Facultad de Filología y Centro de Linguas; Academia Atlántika; Escuela Superior de Español de Sagunto; Universidad de Zaragoza, UIMP, Fundación Comillas, Universidad de La Rioja
გაერთიანებული სამეფო	International House London; ELC Edinburgh: Eurocentres London, Eurocentres Brighton, Eurocentres Bournemouth, Eurocentres Cambridge

ეკპ-პროექტის გუნდი მაღლობას უხდის 2000-მდე მასწავლებელს 64 ქვეყნიდან, რომლებმაც პროფილთა ბადის საპილოტე ვერსიის ვალიდაციასთან დაკავშირებულ ონლაინ-გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა, ასევე 100 ტრენერსა და ენის ინსტიტუტების ხელმძღვანელ პირებს, რომლებმაც აპრობაციაში უშუალო დიალოგით, სატელეფონო საუბრების ან იტნერნეტის საშუალებით მიიღეს მონაწილეობა.